ვერსია

№31 (1721) 25 სექტემბერი — 1 ოქტომბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ფასდაუდებელი ხატი, რომლის გამოც ქალიშვილს მამა შემოაკვდა

რატომ არ მიუსაჯა პატიმრობა სასამართლომ დამნაშავეს

რა ელის ბექა ჯაიანს ციხეში

რატომ გაქრა კესარია აბრამიძის მკვლელობის შემდეგ ფოტოები მისი სოციალური ქსელიდან – ახალი დეტალები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს, ბოროტებაზე გაიმარჯვებს სიკეთე!“

„პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომს და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებ!“

სოხუმის დაცემის სისხლიანი ქრონიკები

„ამან გამოიწვია ომი, ომი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო!“ – გენერლის მოგონებები

შინაგან საქმეთა მინისტრმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცესკო-ს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაცია კოორდინირებულად გაიცვლება.

დოკუმენტით განისაზღვრა საარჩევნო პერიოდში მხარეთა შორის თანამშრომლობის ფორმები და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო.

ამასთან, მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და ცესკო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით ერთობლივ ტრენინგებს, ასევე, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ითვალისწინებს.

საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად, კოორდინირებული მუშაობის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ბოლო წლებია, ყველა არჩევნებთან დაკავშირებით ფორმდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ატაშეესთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრ ტიგაის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა არსებულ თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა ბიუროსთან თანამშრომლობის მნიშვნელობას ერთობლივი ღონისძიებების, პოლიციელთა გადამზადებისა და სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ არსებული ორმხრივი თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით მომავალში კიდევ უფრო ეფექტიანი გახდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე დარახველიძის ბრიფინგი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, გივი თარგამაძის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი პირი, 1974 წელს დაბადებული დ.ხ. დააკავეს.

მან საქართველოს სახელმწიფო საზღვრი ე.წ. მწვანე ზოლის საშუალებით გადმოკვეთა.

2024 წლის 19 სექტემბერს, თურქეთ-საქართველოს საზღვარზე, სასაზღვრო სექტორ „კარწახის“ დასაცავ მონაკვეთზე დამონტაჟებული დაკვირვების ტექნიკური საშუალებებით დაფიქსირდა პიროვნება, რომელმაც უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა იგი გადამოწმების მიზნით შეაჩერეს. აღნიშნული პირი საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკიდან შემოდიოდა.

სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე გამოძიება სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

საზღვარზე შეჩერებულ პიროვნებას თან არ ჰქონდა პიროვნების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია, შესაბამისად, იგი იდენტიფიცირების მიზნით, მესაზღვრეების მიერ გადაყვანილ იქნა სასაზღვრო სექტორის ადმინისტრაციულ შენობაში.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების შეცდომაში შეყვანის მიზნით, დ.ხ. საკუთარი სახელისა და გვარის დასახელების ნაცვლად, ასახელებდა სხვა სახელსა და გვარს. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ, გამოძიების ფარგლებში მოხდა შეჩერებული პირის პირველადი იდენტიფიცირება და შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო მონაცემების ბაზების მიხედვით დადგინდა, რომ საზღვარზე შეჩერებული პირი არის 2016 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო 2017 წლიდან – ინტერპოლის მიერ, საერთაშორისო დონეზე წითელი ცირკულარით სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე, 236-ე და 187-ე მუხლების შესაბამისად ძებნილი – დ.ხ.

ასევე, გამოძიების ფარგლებში, საზღვარზე შეჩერებული პირის მიმართ დაინიშნა და ჩატარდა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ 19 სექტემბერს, სასაზღვრო სექტორ „კარწახზე“ შეჩერებული პირი, ნამდვილად არის დ. ხ.

დ.ხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის განაჩენის საფუძველზე, მსჯავრდებულის სახით დაკავდა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ მოხდა მისი გადაყვანა პენიტენციურ დაწესებულებაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დ.ხ. დამნაშავედ სცნო დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენის, შენახვა-ტარების, გასაღებისა და სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურებისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ასევე, გვინდა ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ გივი თარგამაძის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გრძელდება დ.ხ. -ს თანამზრახველი პირების დადგენისა და დაკავების მიზნით.

ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს, ბოროტებაზე გაიმარჯვებს სიკეთე!“

„პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომს და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებ!“

„ქართული ოცნება“ საარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. ამჯერად, მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშილმა რუსთავის მოსხლეობას მიმართა:

„მოგესალმებით რუსთავის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, წალკისა და თეთრიწყაროს მოსახლეობას!

მივესალმები უძველესი და უნიკალური ისტორიის მქონე მხარეს, რომელიც გამორჩეულია ისტორიული ძეგლებით, ულამაზესი ბუნებით და რაც მთავარია, გასაოცარი ხალხით!

მივესალმები პირველი ევროპელების მხარეს, სადაც თითქმის 2 მილიონი წლის წინ დაირწა ცივილიზაციის აკვანი. მივესალმები მხარეს, რომელიც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს – ბოლნისის სიონს და ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებს გვინახავს. მივესალმები მხარეს, სადაც მევენახეობის უძველესი ნაკვალევია აღმოჩენილი, რაც ადასტურებს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა! მივესალმები სტუმართმოყვარეობითა და ტოლერანტობით განთქმულ კუთხეს, სადაც ქართველებთან ერთად, აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, ბერძნებმა, გერმანელებმა და სხვა ეროვნების ხალხმა, ჯერ თავშესაფარი, შემდეგ კი სახლი და სამშობლო იპოვეს.

როგორც პოლიტიკოსი, პირველად, 2012 წელს შეგხვდით და ჩვენი ქვეყნისთვის იმ შავ-ბნელ პერიოდში დაგპირდით, რომ ერთად დგომით, აუცილებლად დავამარცხებდით „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმს, რეჟიმს, რომელსაც სახელმწიფო ჰქონდა მიტაცებული და ტერორსა და შიშში ამყოფებდა მოსახლეობას.

1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვების შემდეგ, ერთად შევძელით, ჩვენი ქვეყანა განვითარების სწორ რელსებზე დაგვეყენებინა. შედეგად, თქვენთან ერთად, საფუძველი ჩავუყარეთ დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებული ქვეყნის მშენებლობას. გავაჯანსაღეთ სასამართლო და პროკურატურა, მედია დამოუკიდებელია, ბიზნესი – ხელშეუხებელი. შესაბამისად, ხალხი თავისუფლად სუნთქავს და აღარავის აქვს პოლიტიკური დევნის შიში.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვემო ქართლში მოვაწესრიგეთ და განვავითარეთ ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამებით ავაღორძინეთ წინა ხელისუფლების დროს დაკნინებული სოფლის მეურნეობა, ჩვენს გლეხებსა და ფერმერებს მანამდე დაკეტილი ბაზრებისკენ გავუხსენით გზა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, რა მიმართულებითაც არაერთი ინვესტიცია, სწორედ ქვემო ქართლში განხორციელდა.

სამუდამოდ ჩავაბარეთ წარსულს დრო, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქვამდა და ისინი მხოლოდ არჩევნებზე ახსენდებოდა. დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია! საქართველოს თითოეული მოქალაქე, მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, თანასწორია და სრულად სარგებლობს ყველა იმ პრივილეგიით, რასაც სახელმწიფო მოქალაქეებს სთავაზობს.

2012 წელს, ერთ დროს წელგამართულ, მშრომელი ხალხით დასახლებულ რუსთავში უმუშევრობა, სიღატაკე და უკიდურესი გაჭირვება სუფევდა. მაშინ რუსთაველებს დაგპირდით, რომ დაგიბრუნებდით ღირსებას, მაქსიმალურად ავითვისებდით ამ ქალაქის ინდუსტრიულ პოტენციალს და ყველაფერს გავაკეთებდით იმისთვის, რომ სრული დატვირთვით ამუშავებულიყო რუსთავში მდებარე ქარხნები და საწარმოები. მოხარული ვარ, რომ ეს პირობაც შევასრულეთ და ამ მიმართულებით, მომავალშიც ძალიან ბევრი რამ გაკეთდება.

რუსთაველები იმაშიც დაგვემოწმებიან, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, თუნდაც მცირე ძალაუფლების ხელში ჩაგდება საბოტაჟს და ხალხისთვის გარდაუვალ ზიანს ნიშნავს. დღეს ქალაქს ჰყავს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, პროფესიონალი მერი, გასაოცარი ახალგაზრდა ქალი, ნინო ლაცაბიძე, რომელიც 24 საათის განმავლობაში, რუსთავისა და რუსთაველების ინტერესზე ზრუნავს. ამის საპირწონედ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა რუსთავის საკრებულოში თანამდებობებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს. მეტიც, ისინი მუდმივ საბოტაჟს უწყობენ რუსთავის მოსახლეობას და ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელებას აფერხებენ. ეს მაგალითი ძალიან კარგად გვიჩვენებს, თუ რა კატასტროფა შეიძლება დატრიალდეს საქართველოში, შეუძლებელი რომ მოხდეს და კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

როგორც წარსულში, დღესაც რადიკალური ოპო-

დასასრული მე-6 გვერდზე

სოხუმის დაცემის სისხლიანი ქრონიკები

ვანო პავლიაშვილი

რამდენიმე დღეში 27 სექტემბერია – სოხუმის დაცემის დღე. ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სევდიანი თარიღია, თარიღი, რომელიც ლამის 30 წელია, ჩვენს ცხოვრებას შავ ლაქად ატყვია. რატომ დავკარგეთ სოხუმი? – ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ დასაბუთებულად, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ, სოხუმის დაცემას ხელი ღალატმაც შეუწყო თუ არა. „სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, რომელიც სოჭში, 27 ივლისს, ორ მხარეს შორის დაიდო. შეთანხმება 16 სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონიდან უკვე გაყვანილი ჰყავდა. გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასობრივ შეტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა.

„ამან გამოიწვია ომი, ომი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო!“ – გენერლის მოგონებები

ქალაქის აღების შემდეგ შემოსულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს. ადგილობრივი მთავრობის წევრები – ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ხოლო ალექსანდრე ბერულავა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. რამდენიმე დღეში, სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს (კოდორის ხეობის გარდა).

„საქართველოს შეიარაღებული ძალების სრულ დამარცხებას რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. გადარჩენილი, 250 000-ზე მეტი ეთნიკურად ქართველი, ბერძენი თუ სხვა უმცირესობები აფხაზეთიდან ლტოლვილ-დევნილი გახდა“, – ვკითხულობთ ქართულ ვიკიპედიაში.

და მაინც, რატომ დაეცა სოხუმი? – შევეცდები, ამ კითხვაზე, მეტ-ნაკლებად, ამომწურავი პასუხი შინაგანი ჯარების ყოფილი სარდლის, გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებით გავცე, რომელიც ჩემს პირად ჟურნალისტურ არქივში ინახება...

დაცემა

... 1993 წელი. აფხაზეთში ომი მძვინვარებს...

საქართველოს ტელევიზიის ეთერში, ფრონტის წინა ხაზიდან მიღებულ ცნობებს ტურისტული ბიუროების რეკლამა ცვლის... თბილისის აეროპორტი სრული დატვირთვით მუშაობს. ერთი თვითმფრინავიდან აფხაზეთში დაჭრილ-დასახიჩრებული ბიჭები ჩამოჰყავთ, მეორედან დუბაიში ნაყიდი „ტავარი“ ჩამოაქვთ... სოხუმი მალე დაეცემა!..

... შინაგანი ჯარის დანაყოფმა, გენერალ ლანჩავას მეთაურობით, გუმისთასთან, ერთ-ერთ სკოლას ალყა შემოარტყა... ტყვიამფრქვევი არ ჩერდება, მტერი დანებებას არ აპირებს... ქართველებმა მაინც ივაჟკაცეს, შენობაში შევიდნენ და... გახევდნენ: სკოლაში, თურმე, სულ ოთხი ჩეჩენი ყოფილა. ოთხივე მკვდარი იყო. ერთ ჩეჩენს, თანამებრძოლები რომ დაღუპვია და ტყვიებიც გასთავებია, ფეხზე გაუხდია და ცერი ავტომატის სასხლეტისთვის გამოუკრავს, თურმე... ქართველები მისთვის მტრები იყვნენ. მტერს კი ცოცხალი არ ჩაბარდა და ბოლო ტყვიით თავი მოიკლა!..

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... აფხაზეთის ომში, ქართველებსა და ჩეჩნებს შორის რაღაცნაირი გულმოწყალე დამოკიდებულება იყო. ისეც ხდებოდა, ქართველები ტყვედჩავარდნილ ჩეჩნებს იარაღს აჰყრიდნენ და შინ უშვებდნენ. იქითა მხრიდანაც იყო ამის მაგალითები“...

... ტამიშს აფხაზები აკონტროლებენ. ეს კი, პრაქტიკულად, სოხუმის დაკარგვას ნიშნავს. მაშ ასე, საჭიროა ტამიშის დაბრუნება!.. 1993 წლის ივნისში, შინაგანი ჯარი საბრძოლო ტექნიკის ოჩამჩირეში გადაყვანასთან დაკავშირებით ბრძანებას მიიღებს. მოგვიანებით, გელა ლანჩავას ნაწილს ლოთი ქობალიას, „მხედრიონისა“ და 24-ე ბრიგადის მეომრები შეუერთდებიან. საგანგებო

დასასრული მე-5 გვერდზე

სოხუმის დაცემის სისხლიანი ქრონიკები

მე-4 გვერდიდან

თათბირზე გელა ლანჩავას, ზაურ უჩაძისა და შინაგანი ჯარის პირველი ბრიგადის მეთაურის, გუჯარ ყურაშვილის გეგმას განიხილავენ, რომლის თანახმადაც, ჯარის გადაჯგუფება უნდა დაიწყოს და შეტევითი ოპერაციები მომზადდეს.

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... კარგად გვესმოდა, რა მნიშვნელოვან საქმეს ვიყავით შეჭიდებულნი და ძალ-ღონის უკიდურესი დაძაბვით, თავდაუზოგავად ვიშრომეთ. შეტევაში, შინაგანი ჯარის გარდა, მონაწილეობა უნდა მიეღო „მხედრიონს“, გვარდიას – ჯემალ ჭუმბურიძის მეთაურობით და ლოთი ქობალიას ნაწილებს. ეს უკანასკნელი ზღვის სანაპირო ზოლიდან უნდა მოგვხმარებოდა. სიმართლე გითხრათ, ქობალიას იმედი არ მქონდა, თუ რატომ, ამასაც მოგახსენებთ: ტამიშის შესასვლელთან, „პიტომნიკი“ იყო, სადაც აფხაზები იყვნენ განლაგებულნი. მძიმე ტექნიკის დასაცავად ცოცხალი ძალა არ გვყოფნიდა. ქობალიამ 70 კაცით დახმარება აღგვითქვა, მეტი არ მყავსო. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ გაირკვა, 250 კაცზე მეტი ჰყავდა... „პიტომნიკის“ კედლები, პირველმა, ჭუმბურიძის ტანკებმა შეანგრიეს და ამით ჩემს ნაწილებს გაუხსნეს გზა. ძალზე ივაჟკაცა „მხედრიონმაც“. რაც შეეხება შინაგან ჯარს, მის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ეს კარგად ორგანიზებული, ჭეშმარიტი მეომრებითა და სერიოზული ხალხით დაკომპლექტებული ჯარიაო... ასე რომ, ტამიში დავიბრუნეთ“...

... ქალაქში შესული ქართველები საშინელი სურათის მოწმენი გახდებიან: ქუჩებში სისხლის გუბეები დგას, მიწა გვამებითაა დაფარული. დახოცილთა უმრავლესობა ქართველია... უდავოა, ქართველებმა უშეღავათო ბრძოლა გადაიტანეს!.. ერთ-ერთ „ბლინდაჟში“ ლანჩავა თვალს ზიჩისეულ „ტარიელისა და ვეფხის ბრძოლას“ მოჰკრავს.

– ნეტავ, ეს ნახატი ბიჭებს ვინ მისცა? – გაიფიქრებს გენერალი და გული სიამაყით აევსება.

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... შეტევის წინ, ერთი საოცრება მოხდა: ჯარისკაცებთან ერთად, ქუჩაში, შიშველ მიწაზე მეძინა. დილით, თვალი რომ გავახილე, პირველი, რაც დავინახე, ეს იყო ხის ფოთლებში, მზის სხივებით „მოქარგული“ ჯვარი, უზარმაზარი, ცეცხლისფერი ჯვარი. გავოგნდი. ღვთის მიერ მოვლენილ სასწაულად მივიჩნიე. მაშინვე ვიდეოკამერით გადავაღებინე. არ ვიცი, შემთხვევითობა იყო ეს, თუ მართლაც სასწაული, მაგრამ ფაქტი ერთია: იმ დღეს, ტამიშის ბრძოლაში ჩემი არც ერთი ჯარისკაცი არ დაღუპულა!“

... ტამიშის ბრძოლისთვის გელა ლანჩავას ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი მიენიჭება. 1993 წლის ივლისის ბოლოს, გენერალი თბილისში დაბრუნდება... 8 აგვისტოს, დილის 04.00 საათზე, ლანჩავას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, დავით მგელაძე სამთავრობო ტელეფონით დაურეკავს და აცნობებს, რომ 08.00 საათზე, შევარდნაძესთან უნდა იყოს. საგანგებო თათბირზე, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი, თემურ ხაჩიშვილი და დავით მგელაძეც ესწრებიან, შევარდნაძე ლანჩავას შს მინისტრის მოადგილის პოსტს შესთავაზებს. იმავე დღეს, შინაგანი ჯარის სარდლად გენერალ-მაიორი ჩიქოვანი დაინიშნება. მერე, წლები რომ გავა, გელა ლანჩავა მემუარებში დაწერს:

„... გულსატკენია, როცა ვინმე, პირადი მტრობის საფუძველზე, საქვეყნო საქმეს აფუჭებს. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: 1992 წლის ოქტომბერი იდგა. აფხაზეთში ომი მძვინვარებდა. მთავრობაში უშიშროების საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა. შუა თათბირზე, ძალზე გაჯავრებულმა ბატონმა ედუარდმა რაღაც ფურცელი გამომისრიალა მაგიდაზე და დააყოლა, გელა, ამ ამბებს ბოლო აღარ უნდა მოეღოს? ფურცელს დავხედე. ეს იყო ცილისმწამებლური, იოტისოდენა სიმართლეს მოკლებული დასმენის ბარათი, რომელშიც ეწერა: „შინაგან ჯარში კვლავაც არიან ექსპრეზიდენტის მომხრეები. ისინი, სამხედრო გადატრიალების მიზნით, უფროსი ლეიტენანტის, ვლადიმერ ოსიშვილისა და ლეიტენანტის, გია კუხიანიძის ხელმძღვანელობით, აყალიბებენ დაჯგუფებას“. საოცრად გავბრაზდი და ასე გაფიცხებულმა სახელმწიფო მეთაურს ვუთხარი: ამის დამწერი ან პროვოკატორია, ან უცოდინარი, რადგან აქ დასახელებული ორივე პიროვნება 16 აგვისტოს, ომის დაწყებისთანავე დაიღუპა-მეთქი. ბატონ ედუარდს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაიცინა“...

... 1993 წლის 27 სექტემბერი, ამ დღეს სოხუმი დაეცემა!..

გელა ლანჩავას მემუარებში სოხუმის ბრძოლებზე არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ, გენერალი აფხაზეთის ომის წაგებად, პირდაპირ თუ ირიბად, ღალატს მიიჩნევს. მემუარებში ბატონი ლანჩავა ომის გამომწვევ მიზეზებზეც საუბრობს:

„... ერთ-ერთი ვერსიით, ომი პროვოკაციამ გამოიწვია. არძინბამ შინაგან ჯარს, ჩემი მეთაურობით, რკინიგზებისა და ავტომაგისტრალების დაცვის მიზნით, აფხაზეთში შესვლის ნებართვა მისცა. ამის შესახებ, რაღა თქმა უნდა, ყველამ, მათ შორის, ექსპრეზიდენტის მომხრეთა იმ დიდმა ნაწილმაც შეიტყო, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა და დივერსიულ აქტებს აწყობდა. მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ იქნებ, მართლაც, ისევ ჩვენმა გაბოროტებულმა სისხლმა და ხორცმა ააგიზგიზა ომის ცეცხლი? მით უმეტეს, რომ აფხაზეთის მკვიდრმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელსაც სოფელ ოხურეისთან შევხვდით, გვითხრა: რატომ ესვრით, შვილო, ერთმანეთს, იქითაც ხომ ქართველები არიანო. იგივე გაიმეორა პირველი ბრძოლის მონაწილე რამდენიმე რიგითმა ჯარისკაცმა და ოფიცერმაც. მე კი მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რაც საკუთარი თვალით ვიხილე: ცხინვალში დისლოცირებული სოხუმის ბატალიონი, სოსო ახალაიას მეთაურობით, სოხუმში, თავისი დისლოკაციის ადგილზე ბრუნდებოდა. სოფელ ოხურეისთან, მათ აფხაზმა ექსტრემისტებმა ცეცხლი გაუხსნეს და ამან გამოიწვია ომი, ომი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო!“

მერე, წლები რომ გავა, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გია ყარყარაშვილი იტყვის: **„აღმოვჩნდით მიამიტები, ვერ გავითვალისწინეთ, რომ ომისთვის, ბრძოლის გარდა, დამახასიათებელია მზაკვრობა, სიტყვის გატეხა, ხელშეკრულების დარღვევა... სამწუხაროდ, ამას ძალიან გვიან მივხვდით“...**

მივხვდით? – ეს რიტორიკული კითხვაა. ისე, მხოლოდ აფხაზეთის ომში კი არა, მთელი ისტორიის განმავლობაში, საქართველოს ძირს, სწორედ მოღალატეები და მტერთან „მოკურკურე“ ქართველები უთხრიდნენ. სამწუხაროდ, დღესაც ასეა... არადა, დიდი კონსტანტინესი არ იყოს, სიმთვრალეში კარგი რიტორები ვართ... დიახ, ბატონებო, ჩვენში მხოლოდ ე.წ. სუფრის კი არა, პათეტიკური პატრიოტიზმიც სჭარბობს. ასე, მაგალითად, შეგვიძლია, დიდგორის „ძლევაი საკვირველი“ რამდენიმე ასეული წლის მერეც ზარ-ზეიმით აღვნიშნოთ. იმ 13-თვიან ომზე კი, რომელიც ახლახან იყო და 30 ათასი ეთნიკური ქართველი შეიწირა, ხოლო 250 000 – დევნილად აქცია, თვალი დავხუჭოთ. მეტიც, ჩვენში ისეთებიც არიან, რომლებიც ოკუპანტი რუსეთის ქება-დიდებაში აღამ-ათენებენ და პოლიქრონიონს უმღერიან!

რას ვიზამთ, ეს ჩვენი რეალობაა, რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ...

ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს, ბოროტებაზე გაიმარჯვებს სიკეთე!“

მე-3 გვერდიდან

ზიცია არა ქვეყნისა და ხალხის ინტერესების, არამედ, გარედან მიღებული დავალებების შესაბამისად მოქმედებს. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რატომაც არ შეიძლება ძალაუფლებასთან ამ ხალხის გაკარება, სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ 26 ოქტომბერს, არჩევანს ვაკეთებთ არა კარგსა და უკეთესს, არამედ, ომსა და მშვიდობას, გარე ძალების აგენტებსა და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელ „ქართულ ოცნებას“ შორის. ჩვენ უცხო ძალებს არ მივცემთ ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის უფლებას, რადგან 26 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობა აირჩევს არა უცხოურ აგენტურას, არამედ, ეროვნული პოლიტიკის გამტარებელ პოლიტიკურ ძალას – „ქართულ ოცნებას!“

კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ მოქმედებს, არათუ ხელისუფლებას აღარ უნდა გავაკაროთ, არამედ, უნდა დადგეს მათი არაკონსტიტუციურად გამოცხადებისა და უმკაცრესად გასამართლების საკითხი. ამ უსამშობლოო ადამიანებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაზე, ბიზნესის რეკეტზე, ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე და იმ ავტორიტარიზმზე, რომელშიც წლების განმავლობაში გვაცხოვრეს, არამედ, პირველ რიგში, უმძიმეს დანაშაულზე – დანაშაულზე, რომელსაც საქართველო მათ არასოდეს აპატიებს. სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა“ პასუხისმგებელი იმ უმძიმეს ტრაგედიაზე, რომელიც 2008 წელს დატრიალდა. გარე დავალების შესასრულებლად, მათ წამოიწყეს ომი, რომელიც 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლის, 30 ათასი ადამიანის დევნილობისა და დაკარგული ტერიტორიების ფასად დაგვიჯდა!

26 ოქტომბრის არჩევნებზე მისვლით და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, თქვენ იღებთ გარანტიას, რომ საქართველოს ომში ჩართვას ვეღარავინ შეძლებს, ხოლო ომის დამნაშავეები უმკაცრესად დაისჯებიან. დიახ, სწორედ „ქართული ოცნებაა“ ამის გარანტი, რადგან ჩვენ ვართ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე, წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად, ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა! მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით დღესაც უამრავი რისკი და გამოწვევა არსებობს, პირობას გაძლევთ, რომ პირადად მე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, საქართველოში ომს და ბომბების წვიმას არაფრის ფასად არ დავუშვებთ!

მშვიდობა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ჩვენს გარშემო და ზოგადად, მსოფლიოში ხდება, ვფიქრობთ, ახლოვდება დრო, როდესაც დიდი ხნის ნატვრას ავიხდენთ და მშვიდობიანი გზით გამთლიანებულ საქართველოს ვიხილავთ! ამისათვის ნებისმიერ მომენტში უნდა ვიყოთ მზად. შესაბამისად, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას ამ კუთხითაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. ვერავინ უნდა შეძლოს, წინ აღუდგეს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელთა განხორციელება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისას გახდება აუცილებელი!

როდესაც ქალაქ გორში, ჩემს გამოსვლაში შერიგებისა და ურთიერთპატიების მნიშვნელობაზე ვისაუბრე, კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ შერიგებას – ღალატი, ხოლო შენდობას მტრობა დაარქვა. ამით კიდევ ერთხელ აჩვენეს ქართველ ხალხს, რომ გარდა ომისა და ნგრევისა, გარდა ეთნიკური შუღლის გაღვივებისა, მათთვის სხვა გზა და მიზანი არ არსებობს! ჩვენი ქვეყნის მტრებს ყველაზე მეტად სწორედ მათი სიტყვა და ქმედება ააშკარავებს. უკვე ორ თვეზე მეტია გადაჭრით ვამბობთ, რომ 2008 წლის ომი, გარე დაკვეთით, სწორედ ნაციონალებმა დაიწყეს, თუმცა არცერთ მათგანს მცდელობაც კი არ ჰქონია, თავი ემართლებინა. გასაგებია, რომ ნაცმოძრაობის მიერ ომის გაჩაღების მტკიცებულებები ხელის გულზე დევს, გასაგებია, რომ ცნობილ რეზოლუციაზე ხმის მიცემით, შემდეგ კი ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით, მათ საომარი მოქმედებების დაწყება ისედაც აღიარებული აქვთ, მაგრამ, ალბათ, მსგავს თვითლუსტრაციას მაინც არავინ ელოდა. ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საკითხი სწორედ ის საკვანძო თემაა, რომელმაც მთელი აგენტურა გავეშებული გამოდევნა უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ბუნაგებიდან. მათი რეაქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დავალებული ჰქონდათ და აქვთ ერთადერთი რამ – საქართველო იყოს მუდმივი კონფლიქტისა და დაპირისპირების რეჟიმში. სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მზადება, პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაზე გადის. „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების პირობებში, რადიკალურ ოპოზიციას ყველანაირი რესურსი გამოეცლება, საქართველოს გამთლიანებას ხელოვნური ბარიერი შეუქმნას და ქვეყანა მუდმივ კონფრონტაციაში ამყოფოს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა გადასაჭრელადაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გვჭირდება. „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ, ერთხელ და სამუდამოდ დავასრულებთ ჩვენი ხალხისთვის ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის თავს მოხვევის, ჩვენი ღირებულებების, კულტურისა და ისტორიის შეურაცხყოფისა და დაკნინების ყველა ძალადობრივ მცდელობას! გარდა ამისა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის, კონსტიტუციური სტატუსის განსამტკიცებლად. თუმცა, ნურავინ იფიქრებს, რომ ამით საქართველოში მოქმედ რომელიმე რელიგიას იოტისოდენა ჩრდილი მაინც მიადგება! მეტიც, გავაძლიერებთ ძალისხმევას, რათა კიდევ უფრო გავუფრთხილდეთ ჩვენი განსხვავებული რელიგიის მქონე, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გაერთიანებული ხალხების თანაცხოვრებას. სწორედ ჩვენი მრავალფეროვნებითა და ტოლერანტობით ვართ ის ხალხი და ქვეყანა, რასაც წარმოვადგენთ, რითაც მთელი მსოფლიო გვიცნობს. ტოლერანტობის ეს საამაყო, უნიკალური, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება – ჩვენს სამშობლოში სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ისევ ჰარმონიულად განაგრძობენ თანაცხოვრებას და საქართველოს, ჩვენი და ჩვენი შვილების უკეთეს ხვალინდელ დღეზე ზრუნვას!

26 ოქტომბერს, ბოროტებაზე გაიმარჯვებს სიკეთე, აგენტურაზე გაიმარჯვებს საქართველოს დამოუკიდებლობა, ფსევდოლიბერალურ პროპაგანდაზე გაიმარჯვებს ტრადიციული ფასეულობები. 26 ოქტომბერს, ომზე გაიმარჯვებს მშვიდობა. ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მფარველი!“

პროკურატურა ბათუმის მერიის შპს „სანდასუფთავების“ მიერ გაფლანგულ თანხებს სწავლობს

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

„ვერსია“ განაგრძობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნილი ანგარიშების შეხსენებას. ამჯერად, შპს „სანდასუფთავების“ 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი განვიხილოთ, რომლის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასთან, პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ვიდრე აუდიტის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ შპს „სანდასუფთავება“ დაფუძნებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შპს „სანდასუფთავების“ წლიური შედეგებით შემოსავალი შეადგენს: 2021 წელს – 12 504 469 ლარს, 2022 წელს – 14 533 039 ლარს; მიღებულია ფინანსური მოგება 2021 წელს – 596 644 ლარი, 2022 წელს – 636 911 ლარი, ხოლო საოპერაციო მოგება 2021 წელს – 118 436 ლარი, 2022 წელს – 133 577 ლარი; გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს – 6 432 362 ლარს.

ხარვეზები შემოსავლების მიღებაში

მოქმედი რეგულაციებით, სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, შპს „სანდასუფთავების“ მიერ კომერციულ ბანკებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შესახებ.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „სანდასუფთავების“ შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა კომერციულ ბანკებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საბანკო ანგარიშებზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებული ნაშთიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი. სხვადასხვა ბანკში 2021-2022 წლებში, 1 იანვრის მდგომარეობით, ირიცხებოდა თავისუფალი ფულადი სახსრების აუთვისებელი ნაშთი – 8 721 438 ლარი, ხოლო ამავე პერიოდში ფულადი სახსრების ბრუნვა შეადგენდა 28 164 695 ლარს.

„ამ პირობებში, შპს „სანდასუფთავებას“ მიღებული აქვს საპროცენტო სარგებელი 1 544 953 ლარი, თუმცა ამავე პერიოდში, სხვა ისეთ კომერციულ ბანკებში, სადაც საპროცენტო სარგებლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, ნაშთად ირიცხება 1 777 331 ლარი, ხოლო ბრუნვა შეადგენს 25 359 226 ლარს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შპს „სანდასუფთავებამ“ სათანადოდ ვერ უზრუნველჰყო თავისუფალი ფულადი სახსრების მართვა, რასაც დამატებითი შემოსავლის მიღება უნდა მოჰყოლოდა.

ხარვეზები საწვავის ხარჯვაში

შპს „სანდასუფთავების“ ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ დადგენილია საწვავის ხარჯის ოდენობა, ხოლო შპს „სანდასუფთავებაში“ დასაქმებულთა უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, დირექტორის ბრძანებით, დაწესებულია საწვავის ლიმიტები. მოქმედი რეგულაციებით, ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ სააღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნეს შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დოკუმენტური დადასტურება.

„შპს „სანდასუფთავების“ საბალანსო მონაცემებით, აუდიტის პერიოდში ირიცხება 65 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომლებზეც ნაჩვენებია გაცემულად და ჩამოწერილია 1 995 533 ლარის ღირებულების 766 669 ლიტრი საწვავი. ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია ჩასხმის ოდენობის მიხედვით. აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩევით განხორციელდა 2021-2022 წლებში, ჯამში: 48 ერთეულ ავტომანქანაზე ჩამოწერილი 522 573 ლიტრი საწვავის ექსპერტის მიერ დადგენილ ნორმებთან შესაბამისობა. შედეგად ირკვევა, რომ ფაქტობრივად დადგენილ ნორმასთან შეუსაბამოდ ჩამოწერილია 147 770 ლიტრი საწვავი.

გარდა ამისა, შპს „სანდასუფთავების“ მიერ, 2021-2022 წლებში, ჯამში ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ხარჯვის ნორმებთან დაკავშირებით, არაა წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 94 727 ლიტრი საწვავის ნორმის შესაბამის ხარჯვაზე“.

შპს „სანდასუფთავებას“ ფიზიკური პირებიდან, 43 შემთხვევაში, უსასყიდლო სარგებლობაში, თხოვების ფორმით მიღებული აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემდგომ საზოგადოების ხელმძღვანელის ბრძანებით, მიმაგრებულია შპს-ის თანამშრომლებზე და გამოყოფილია საწვავის ხარჯვის ლიმიტი. აღნიშნულ ავტომანქანებზე აუდიტის პერიოდში სულ ჩამოწერილია 52 795 ლიტრი საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტებით თხოვების ფორმით მიღებული სატრანსპორტო საშუალებების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება არ დასტურდება.

აქედან გამომდინარე, აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შპს „სანდასუფთავებაში“ არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს სამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის ხარჯვის დადასტურებას. შედეგად, ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე ექსპერტის მიერ დადგენილ ნორმასთან შედარებით ზედმეტად ჩამოწერილია არანაკლებ 147 770 ლიტრი საწვავი. ამასთან, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომანქანების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების დადასტურების გარეშე ჩამოწერილია 94 727 ლიტრი საწვავი.

ხარვეზები ბაზრის კვლევაში

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევის შედეგები. ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა), წლიური გეგმის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების/დადგენის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

რიგ შემთხვევებში, შპს „სანდასუფთავების“ მიერ ბაზრის კვლევა განხორციელებულია არასრულყოფილად. კერძოდ, არ არის შექმნილი სრული სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე. ამან განაპირობა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საკონტრაქტო ფასებსა და სავარაუდო ღირებულებებს შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობები.

„2021 2022 წლებში, 62 შემდგარი ტენდერიდან, 14 შემთხვევაში, სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1 126 884 ლარით, შესყიდვის პროცედურების შედეგად, პრეტენდენტების მიერ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 368 001 ლარით და შეადგინა 758 883 ლარი, მათ შორის, დიდი ოდენობით შემცირებულია: მინდვრის ცოცხების შესყიდვის ფასი – 26 600 ლარით (53%-ით); ავტომანქანების შეკეთება-მომსახურების ფასი – 110 095 ლარით (45.91 %-ით); ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების აუდიტორული მომსახურების ფასი – 24 200 ლარით (35.7%-ით) და სხვა“.

დასასრული მე-8 გვერდზე

პროკურატურა ბათუმის მერიის შპს „სანდასუფთავების“ მიერ გაფლანგულ თანხებს სწავლობს

მე-7 გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბაზრის კვლევა სათანადოდ არ არის ჩატარებული, რომლის შედეგად, 14 შემთხვევაში, პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით შემცირებულია 368 001 ლარით. ეს გარემოება ერთი პრეტენდენტის არსებობის პირობებში წარმოშობს ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

შპს „სანდასუფთავების” მიერ ნარჩენების გატანის მომსახურება რეგულირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ხოლო აღნიშნული მომსახურებისათვის დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების გაცემა რეგულირდება შპს-ის მიერ დამტკიცებული ნორმის მიხედვით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

„შპს „სანდასუფთავებას“ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანახვეტის გატანის მომსახურებისათვის, ფაქტობრივად გატანილი ნარჩენების წონის შესაბამისად, მიღებული აქვს 8 741 800 ლარი. შპს-ს დირექტორის ბრძანებით, ერთი ტონა მასის გატანისათვის ავტომანქანის პარამეტრების მიხედვით დამტკიცებულია გასაცემი შრომის ანაზღაურების სხვადასხვა ნორმა. აღნიშნულ მომსახურებაზე დასაქმებულია 126 პირი და ფაქტობრივად გატანილი წონის გათვალისწინებით, გაცემულია შრომის ანაზღაურება, ჯამში – 3 225 281 ლარი“.

სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში, სათანადო დასაბუთების გარეშე ცალკეული პირები დასაქმებულები არიან მხოლოდ მაღალანაზღაურებად სატრანსპორტო საშუალებებზე. ამასთან, ხშირ შემთხვევებში, ფიქსირდება ავტომანქანების მიერ გატანილი ნარჩენის ზუსტი წონები, კერძოდ: 7 760 ტონა – ათჯერ; 7 820 ტონა – ათჯერ; 8 020 ტონა – 14 ჯერ; 7 360 ტონა – ათჯერ; 9 060 ტონა – 11-ჯერ; 7 700 ტონა – 12-ჯერ; 3 880 ტონა – 18-ჯერ; 3 820 ტონა – 17-ჯერ; 4 020 ტონა – 27-ჯერ; 8 400 ტონა – 12 ჯერ, რაც შპს-ს საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ნაკლებად სარწმუნოა, ხოლო ერთი და იმავე პარამეტრების ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვადასხვა პერიოდში აწონვის მაჩვენებლებში ფიქსირდება ტრანსპორტის ტარის წონის არსებითი სხვაობები.

„კერძოდ, ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე რიგ შემთხვევებში აწონვის შედეგებში ფიქსირდება: ტარის წონა – 12 100 კგ, ხოლო სხვა პერიოდის მონაცემებში – 1 220 კგ-ით მეტი (ანუ 13 320 კგ); ანალოგიურად სხვა პარამეტრების სატრანსპორტო საშუალებაზე დაფიქსირებულია ტარის წონა – 9 880 კგ, თუმცა შემდგომი პერიოდის აწონვის მონაცემებში ფიქსირდება 3 180 კგ-ით მეტი – 13 060 კგ და სხვ. აღნიშნული პრაქტიკულად არასარწმუნოა, შეუძლებელია და მონაცემების არასწორად ასახვაზე მიანიშნებს, ამასთან, შპს-ის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების და შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების შეუსაბამობების რისკებზე მიუთითებს“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შპს „სანდასუფთავებაში“ არსებულმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველჰყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ანახვეტის ფაქტობრივად გატანილი მოცულობების დადგენაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა. სახელმწიფო აუდიტორები ვერ დარწმუნდნენ, რომ შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯი და მომსახურებისათვის მიღებული შემოსავალი შეესაბამება თუ არა ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობას.

ხარვეზები პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასებაში

შპს „სანდასუფთავების“ მიერ საოფისე კონტეინერების შესყიდვა-რემონტისათვის 2021 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განხორციელდა დოკუმენტების არასწორად დაზუსტების მოტივით. კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, მეორე პრეტენდენტმა დააზუსტა დოკუმენტაცია და 29 498 ლარით გამოცხადებულია გამარჯვებულად. აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ გამარჯვებული პრეტენდენტის ფასების ცხრილში, შეთავაზებული ჯამური ღირებულება ფაქტობრივად შეადგენდა დაზუსტებულ ფასზე მეტს – 29 566 ლარს, რაზეც კომისიას არ უმსჯელია.

ანალოგიური სახის ხარვეზითაა ჩატარებული ავტომანქანების ფილტრების შესყიდვა. სატენდერო კომისიამ შეაფასა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი და მოითხოვა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა, ორი დღის შემდეგ, კომისიამ განმეორებით იმსჯელა, გამოავლინა სხვა უზუსტობები და მიეცა დისკვალიფიკაცია.

„შპს „სანდასუფთავების“ 2020-2022 წლების ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების აუდიტორული მომსახურებისათვის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ და გაფორმებულია ხელშეკრულება. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადახდილია ხელშეკრულების სრული ფასი, ჯამში – 76 700 ლარი.

ორივე შესყიდვის შემთხვევაში სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულია, რომ მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების აუდიტორული მომსახურება და წარმოადგინოს დასკვნა. წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს დასკვნა მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით დასკვნა არ წარმოუდგენია. ფინანსური ანგარიშგების დასკვნის ნაწილში – „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“, ერთ პუნქტად ასახულია ჩანაწერი, რომ აუდიტის პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე“.

კანონის შესაბამისად, მმართველობის ანგარიში არ მოიცავს მხოლოდ საქმიანობის მიმოხილვას, იგი მოიცავს კორპორაციული მართვის ანგარიშგებას და არაფინანსურ ანგარიშგებას, სატენდერო წინადადებაში კი არ არის გამიჯნული, რომ მიმწოდებელს უნდა წარედგინა მხოლოდ საქმიანობის მიმოხილვის შესახებ დასკვნა და არ უნდა წარედგინა დასკვნა კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებზე.

„აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონით, საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს: სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს; არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან; განვითარების გეგმებს; სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვას; ინფორმაციას სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ; სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ, რაზეც დასკვნა წარმოდგენილი არ არის“.

გამომდინარე იქიდან, რომ სატენდერო წინადადებაში არ არის გამიჯნული ცალკე მმართველობის ანგარიშგების დასკვნის შედგენისთვის მომსახურების გადასახდელი თანხის ოდენობა, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას ზედმეტად ანაზღაურებული თანხის ოდენობაზე.

საბოლოოდ, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა და შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გაწეული მომსახურების ანაზღაურება, რიგ შემთხვევებში, ხარვეზებით განხორციელდა.

სამართალი

№31 25 სექტემბერი 2024 წ

რა ელის ბექა ჯაიანს ციხეში

რატომ გაქრა კესარია აბრამიძის მკვლელობის შემდეგ ფოტოები მისი სოციალური ქსელიდან – ახალი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში მორიგი გახმაურებული დანაშაული მოხდა. ყველაზე ცნობილი ტრანსგენდერი ქალი, კესარია აბრამიძე მეგობარმა მამაკაცმა მოკლა. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით ვიტყვი, რომ მთავარი ეჭვმიტანილი, ბექა ჯაიანი უკვე დაკავებულია და მართალია, დუმილის უფლებას იყენებს, ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ აბრამიძეს ყელი სწორედ მან გამოჭრა. კიდევ უფრო საინტერესოა მოტივი, რომელზეც სავარაუდო მკვლელის, თუ მოკლულის მეგობრები საუბრობენ. როგორც ისინი ამბობენ, ჯაიანს არ სურდა ამ ურთიერთობის აფიშირება და ყოველნაირად ცდილობდა დაემალა, რომ ტრანსგენდერთნ ცხოვრობდა. კესარიას პირიქით – ამ ურთიერთობის გაოფიციალურებასთან ერთად, იმედი ჰქონდა, რომ პარტნიორი მას ცოლად მოიყვანდა.

იყო თუ არა ეს განზრახ მკვლელობა? პოლიცია ვარაუდობს, რომ იყო, რადგან კადრებში, რომელიც მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრეა გადაღებული, კარგად ჩანს, რომ ჯაიანს ცელოფანში, სხვა ნივთებთან ერთად, დანაც უდევს. ვისაც ბოლო დროს დანა შეუძენია, დამეთანხმება, რომ პირველ ეტაპზე ის ძალიან, ძალიან მჭრელია. დანა „ოპინელის“ ფირმის იყო ანუ არა მარტო ძალიან მჭრელი, არამედ, ამ ფირმის დანებს ისეთი პირები აქვთ, რომ სხეულში შესვლა არ გაუჭირდება და დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს. სავარაუდოდ, სწორედ ამ დანით აქვს გადაჭრილი საძილე არტერია კესარია აბრამიძეს, რამაც სისხლის დაკარგვა და სიკვდილი გამოიწვია. ყველაფერი ეს კი 15 წუთში მოხდა, თუმცა მანამდე, სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტო გაქრა. საინტერესოა კიდევ ერთი რამ – მკვლელობის შემდეგ, არაერთმა ტელევიზიამ თუ ინტერნეტ-გამოცემამ გაავრცელა რამდენიმე ფოტო, სადაც ჯაიანი აბრამიძესთან ერთადაა და თუ მკვლელობაში ეჭვმიტანილს არ სურდა ურთიერთობის აფიშირება, რატომ დგებოდა და პოზიორობდა ფოტოს გადასაღებად? პარალელურად, ითქვა ისიც, რომ აბრამიძე ჯაიანს აშანტაჟებდა და ცოლად მოყვანას სთხოვდა, რაც ამ გადმოსახედიდან, აბსურდულად ჩანს. რატომ? პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჯაიანის სამეგობრომ ამ ურთიერთობის შესახებ იცოდა და კესარიას ფოტოები რომც გაევრცელებინა, ეს ვერ იქნებოდა შანტაჟი, ბოლოს და ბოლოს, მკვლელობაში ბრალდებული იტყოდა, რომ ძველი კადრები იყო და ამით დასრულდებოდა. მეორე მხრივ, მას უბრალოდ შეეძლო, მანამდე დაესრულებინა ურთიერთობა და მარტივად გადაეტანა ფოტოების გავრცელებით მიღებული სტრესი (თუ ეს სტრესი იქნებოდა), მაგრამ... რატომღაც ეჭვი მაქვს, რომ მოხდა სხვა რამ, რამაც ჯაიანი აიძულა ეს ქმედება ჩაედინა.

გარდაცვლილის მეგობრების თქმით, კესარია, პარტნიორის მხრიდან, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე ხშირად საუბრობდა და აპრილში პოსტიც გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულის შესახებ წერდა, თუმცა მას სამართალდამცავებისთვის ოფიციალურად არ მიუმართავს და შესაბამისად, საქმეც არ აღძრულა. არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – საპროტესტო აქციების დროს, დარბევებში ჯაიანიც მონაწილეობდა და აბრამიძე მეგობარ ჟურნალისტს სწერს, რომ კადრებში სწორედ მისი ნაცნობი ბექა ჯაიანია. მაშინ ეს სახელი და გვარი დასახელდა კიდეც, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ის კესარია აბრამიძის პარტნიორი იყო. არ არის გამორიცხული, ამასთან დაკავშირებით, ჯაიანს ან რამე ჰქონოდა ნათქვამი გარდაცვლილისთვის, ან პირიქით, გარდაცვლილს ჰქონოდა რაღაც ისეთი, რაც ჯაიანის დარბევებში მონაწილეობას დაადასტურებდა, რაც მკვლელობაში ეჭვმიტანილს, სავარაუდოდ, ყველაზე ნაკლებად აწყობდა.

ძალიან დიდია იმის შანსი, რომ თუ ჯაიანს მკვლელობა გენდერის ნიშნით დაუდასტურდება, მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ. ზუსტად ისე, როგორც ეს ცოტა ხნის წინ მოხდა, როცა ქეთი ჯავახიშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ოთარ ცინდელიანს მისცეს უვადო თავისუფლების აღკვეთა. სიმძიმით თუ ვიმსჯელებთ, ეს ორი დანაშაული ერთმანეთს ძალიან ჰგავს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კესარია აბრამიძე ტრანსგენდერი იყო.

ახლა, ამ ისტორიის კრიმინალური ნაწილის გაგრძელება. თუ მკვლელობაში ბრალდებული სამუდამო პატიმრობას გადაურჩება, მას სასჯელის მოსახდელად ჩვეულებრივ ზონაზე გაუშვებენ. „შავი სამყაროს“ დაუწერელი კანონია, თუ პატიმარი „სვაბოდაზე“ კაცებთან ურთიერთობაში იყო შემჩნეული, ის ზონაზე მისვლისთანავე, „საქათმის“ ბინადარი ხდება ანუ სასჯელს „საქათმეში“ იხდის. რა ბედი ელის ჯაიანს? ერთი შეხედვით, კესარია აბრამიძე ქალი იყო და მისი სხეულის ფორმებისა თუ სახის ნაკვთების ბევრ ქალს შეშურდებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, ის კაცად დაიბადა. ჰოდა, აშკარად საინტერესოა, გისოსებს მიღმა, ჯაიანს წაუყენებენ თუ არა პრეტენზიას ამ ურთიერთობაზე და გაუშვებენ თუ არა „საქათმეში“.

„ევროპაში ისეთი ამბები ხდება, შესაძლოა, ბევრი წოლილა ტრანსგენდერთან და ეს რეალურად არ იცის. ამიტომ, ძნელია იმის თქმა, რას უზამენ ჯაიანს, მაგრამ დარწმუნებით და გადაჭრით ვიტყვი, რომ ნებისმიერი „კაი ბიჭი“, ნებისმიერ დროს მოახერხებს, მას პრეტენზია წაუყენოს, მარტივად დაუმტკიცოს, რომ მას ურთიერთობა მამაკაცთან ჰქონდა და „საქათმეში“ გაუშვას. ახლა საინტერესოა, რამდენად დასჭირდება ეს ვინმეს და მეორეც, თუ მას ოფიციალურად აქვს ძალოვან უწყებებში თუნდაც ერთი დღე ნამუშევარი, გამორიცხულია, ჩვენთან, რიგით ზონაზე მოიყვანონ. სავარაუდოდ, ის სასჯელს ყოფილ თანამშრომლებთან მოიხდის, სადაც „საქათმეში“ მოხვედრის შანსი მინიმუმამდე დავა“, – გვითხრა ევროპაში მცხოვრებმა „შავი სამყაროს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

სასამართლომ დაკავებულს წინასწარი ორთვინი პატიმრობა უკვე შეუფარდა და პროკურატურას იმდენი მტკიცებულება აქვს, ბრალის დამტკიცება არ უნდა გაუჭირდეს. ახლა, მხოლოდ ის არის საკითხავი, რამდენს მიუსჯიან ჯაიანს და იქნება თუ არა მკვლელობა კვალიციფირებული, როგორც გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული.

რეალურად, არავის საქმე არ არის, ვინ როგორ ცხოვრობს, მით უმეტეს, თუ თავისი ცხოვრებით არავის არაფერს უშავებს, მაგრამ არის მიდგომა, რომ ეს ადამიანები მომავალ თაობას რყვნიან და ამას სასულიერო პირებიც ხშირად ამბობენ. პრობლემა, რა თქმა უნდა, არსებობს და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იარსებებს, რადგან ძნელია, განსაკუთრებით სოფლებში, ასაკოვან (ან არცთუ ასაკოვან) ხალხს აუხსნა, რატომ ხდება ასე. მეტიც, სოფლებში მამაკაცზე საყურეს, გრძელ თმასა და ბლანჟესაც კი ეჭვის თვალით და უარყოფითად უყურებენ. სულ რაღაც ორი წლის წინ, მეგობარი, რომელიც დასავლეთ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა, ეზოში წყლის დასალევად ჭარმაგმა მოხუცმა იმიტომ არ შეუშვა, რომ მას ბლანჟე ჰქონდა და პირდაპირ უთხრა, წვერი ან გაპარსული უნდა გქონდეს, ან მოშვებული და შენ კიდევ, გაუგებრად გაქვსო. ჰო, ის ჩემი მეგობარი ოთხი შვილის მამაა...

საინტერესოა, მომხდარის პოლიტიკური შეფასებაც. ხელისუფლების მხარდამჭერები ფიქრობენ, რომ ეს სპეციალურად მოწყობილი პროვოკაცია იყო, ხოლო ოპოზიციის მხარდამჭერები პირიქით – ამბობენ, რომ ძალადობა მმართველი გუნდის მიერ, ამ მოწვევის პარლამენტის ბოლო სხდომაზე მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ წაახალისა.

და მაინც, რა წერია კანონში, რომელიც 84 ხმით, სწორედ ბოლო სხდომაზე დააჩაქუჩეს.

„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი დამატებით, 18 მოქმედ კანონში ცვლილებას ითვალისწინებს, მათ შორის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლოა, დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ის ეხება, მაგალითად, ცილისწამებას, პირისპირ შეურაცხყოფას, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას და ა.შ. ცვლილებების შემდეგ, დაუშვებელი ხდება „საჯაროდ ისეთი შეკრება ან/და მანიფესტაციის ჩატარება, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის, ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ“.

ფასდაუდებელი ხატი, რომლის გამოც ქალიშვილს მამა შემოაკვდა

რატომ არ მიუსაჯა პატიმრობა სასამართლომ დამნაშავეს

ბათო ჯაფარიძე

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, არაერთმა ოჯახმა ძველი ნივთების გაყიდვა დაიწყო. სამწუხაროდ, მაშინ ნივთების რეალური ფასი არავინ იცოდა, ამიტომ შესაძლოა, ოჯახი ისეთ ნივთს შელეოდა 100 თუ 200 დოლარად, რომლის ფასიც ასეულობით ათასს აჭარბებდა. სწორედ ამიტომ, ადამიანთა იმ კატეგორიამ, რომელმაც ანტიკვარიატის ფასი და რაც მთავარია, ცნობა იცოდა, სოფლებში სიარული დაიწყო და მოსახლეობისგან დიდი რაოდენობით ძველ ნივთებს ყიდულობოდა. უფრო სწორად, ყიდულობდნენ თითქმის ყველაფერს – ხანჯლებს, დანებს, ხატებს, ვერცხლეულს, ფაიფურის ჭურჭელს... ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ჰყვებოდა, რუსმა ნაცნობმა სურათი მაჩვენა, ვერცხლის ლანგარზე ვერცხლის დოქი და 6 ჭიქა იდო, არ იყო ძველი ნაკეთობა, მაგრამ ძალიან მჭირდება და 40 ათას დოლარს გადაგიხდიო. ჰოდა, ამ კაცმა, ასეთ ვერცხლეულს სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მიაგნო და ვაჭრობის შემდეგ, მეპატრონეებს 800 დოლარი გადაუხადა (თურმე, ისინი 1000 დოლარს ითხოვდნენ). ასე, ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილ გაზიდეს საზღვარგარეთ ის ანტიკვარული ნივთები, რომლებიც ოჯახებში ინახებოდა და ვაი, რომ მაშინ საშველიც არსაიდან ჩანდა.

ჰოდა, 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, სწორედ ასეთი ანტიკვარიატით მოვაჭრე მამაკაცი იპოვეს საკუთარ სახლში გარდაცვლილი და რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებს მიმართეს.

„ეს ჩემმა დედინაცვალმა ჩაიდინა. ასე მგონია, რომ მამა არასოდეს უყვარდა და ახლაც მგონია, რომ ერთადერთი, ვისაც მისი მოკვლა შეეძლო, სწორედ დედინაცვალია“, -განაცხადა გარდაცვლილის ერთადერთმა შვილმა.

გოგონა ამბობდა, რომ ოჯახიდან მხოლოდ იმიტომ წავიდა, დედინაცვალი ვერ აიტანა, რომელიც მას შემდეგ, რაც მამამისს მისთხოვდა, უბრალოდ, გალოთდა და ოჯახს ხომ არ უვლიდა, ზოგადად, ყველაფერი ფეხზე ეკიდა და ისეც ხშირად ხდებოდა, რომ მთვრალი კიბეზე ასვლას ვერ ახერხებდა და ხან მეზობლებს აჰყავდათ, ხან – მამა ჩადიოდა. ძალოვნებმა ქალი მოიკითხეს, თუმცა ვერსად მიაგნეს, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, ქალი ნასვამი მოვიდა და როცა უთხრეს, შენი ქმარი მოკვდაო, მკერდზე მჯიღი დაირტყა და დაბეჯითებით თქვა – „მე მოვკალი“. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა დააკავეს და განყოფილებაში გადაიყვანეს, მაგრამ ისეთი ნასვამი იყო, მის დაკითხვას აზრი არ ჰქონდა. სამაგიროდ, შვილი ჰყვებოდა ბევრ საინტერესო დეტალს.

„მამა ინჟინერი იყო, მაგრამ როცა მისი პროფესია არავის დასჭირდა, მეგობრის რჩევით, სოფლებში სიარული და ანტიკვარული ნივთების ყიდვა-გაყიდვა დაიწყო. ამან ისე გაიტაცა, რომ მე ანტიკვარიატის სპეციალისტს მიმაბარა და აღნიშნული სფეროს შესწავლა დავიწყე. მინდა გითხრათ, არცთუ ურიგოდ შევისწავლე და როცა მამა რამეს ყიდულობდა, მუდმივად მე მანახებდა, რამდენჯერმე სოფელშიც კი ვახლდი და მინდა გითხრათ, საკმაოდ სარფიანი გარიგებებიც დავდეთ. დედა სიმსივნით გარდაიცვალა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მამამ ეს უჯიშო ქალი მოიყვანა საიდანღაც და ჩვენი სიმშვიდეც მაშინ დასრულდა. საბედნიეროდ, ადრე ნაყიდი ერთოთახიანი ბინა გვქონდა და იქ გავექეცი დედინაცვალს, არ შემეძლო ყოველდღე მისი სახის ყურება. ახლაც მგონია, რომ მამა სიმთვრალით მოკლა, ან შემოაკვდა“, – ამბობდა გოგონა.

საინტერესო ის იყო, რომ პირველადი ვერსიით, მამაკაცს თავში რაღაც ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გაირკვა, რომ ბლაგვი საგანი არ ყოფილა, მამაკაცი დაეცა და თავი კომოდის კუთხეს ჩამოარტყა. ექსპერტებმა თავიდან ვერ შენიშნეს კუთხეზე შერჩენილი თმა, მაგრამ მეორე დათვალიერების შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

„იქნებ, ყველაფერი ძალიან მარტივია, იქნებ, მამაკაცმა ფეხი წამოსდო რამეს და თავი თავისით ჩამოარტყა? სისხლის სამართლის საქმეც დაიხურება და დაკავებულსაც გავათავისუფლებთ“, – იოცნება გამომძიებელმა, მაგრამ ექსპერტებმა მის ოცნებას ცივი წყალი გადაავლეს – კაცს მკერდზე საკმაოდ მკაფიო კვალი ჰქონდა იმისა, რომ ვიღაცამ ძლიერად მიარტყა ხელი ანუ უჯიკა, რის შემდეგაც, ის წაიქცა და ყველაფერი ფატალურად დასრულდა. იმედი ისევ დედინაცვლის ჩვენება იყო.

„რა? ჩემი ქმარი მოკლეეს? კი, მაგრამ... მე რატომ დამიჭირეთ? სიმთვრალეში მაგას კი არა, ლენინის მკვლელობასაც დავიბრალებ. ხომ არ გადაირიეთ, რატომ უნდა მომეკლა კაცი, რომელსაც სიგიჟემდე ვუყვარდი და ამის გამო, ჩემს ყველა სისულელეს იტანდა. მე არ ვიყავი იდეალური ცოლი და ყველაზე კარგად, ეს სწორედ მე ვიცოდი. ღმერთო, ახლა რა მეშვლება... ისე, არ დავმალავ, მგონი, სამი დღის წინ მითხრა, რაღაც ისეთი ვიყიდე, რომელიც მთელ ცხოვრებას უზრუნველად გაგვატარებინებსო, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რა იყიდა, ვისგან იყიდა და როდის. ზოგადად, მის საქმეში არ ვერეოდი, მთავარი იყო, დილით, შუადღეს, ან საღამოს, მოკლედ, დღის განმავლობაში, ფული მეშოვნა და სასმელი მეყიდა. ისე, არაყი არ მიყვარს, მუდმივად ღვინოს ვსვამ“, – განაცხადა დედინაცვალმა.

გარდა ჩვენებისა, რომელიც დედინაცვალმა გამოძიებას მისცა, გამოჩნდნენ მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მკვლელობის დროს, ქალი ერთ-ერთი სასადილოს წინ იჯდა და ღვინოს წრუპავდა. სამი საათის განმავლობაში, მან ორი ბოთლი ღვინო დალია და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა. მკვლელობა კი, სწორედ მაშინ მოხდა, როცა ქალი „განცხრომაში“ იყო.

„არცთუ დიდი ხნის წინ, მამამ ვიღაც სოფლელისგან ვერცხლის საათი იყიდა, ჯიბის საათი და იმ ნივთს „კუდი“ მოჰყვა. კაცი ჩამოვიდა იმავე სოფლიდან და გამოგვიცხადა, ის საათი დააბრუნეთ, ოჯახური რელიქვიაა, ჩემმა ლოთმა ძმამ მოგყიდათ და თუ არ დააბრუნებთ, სათითაოდ დაგხოცავთო. არ ვიცი, მამამ ის საათი დააბრუნა თუ არა“, – თქვა გოგომ და მართალია, კაცის სახელი და გვარი არ იცოდა, მაგრამ სოფლის დასახელება ზუსტად ახსოვდა.

სამართალდამცავები სოფელში ჩავიდნენ და მამაკაცი მალე იპოვეს. მან მხრები აიჩეჩა, მე რა შუაში ვარ, ის საათი დამიბრუნა და ჩემს იდიოტ ძმას კიდევ რომ არ გაეყიდა, სიდედრ-სიმამრთან გადავიტანეო. ძალოვნებმა გადაამოწმეს და მართლაც, საათი მის სიმამრთან ინახებოდა. რაც მთავარია, მან საათი მკვლელობამდე ორი დღით ადრე მიიტანა ანუ ინტერესი არ ჰქონდა, ანტიკვარის სპეციალისტი მოეკლა, მაგრამ ვიღაცამ ხომ მოკლა და ვინ იყო ის ვიღაც? ეგებ, ასეთი გამწარებული კიდევ ჰყავდა და სად, ან ვინ უნდა ეძებნათ ასობით ადამიანში, ძალოვნებმა არ იცოდნენ.

ამასობაში, ერთმა მეზობელმა გაიხსენა ძალიან საინტერესო რამ. მისი თქმით, მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე, კიბეზე აიარა და გაიგონა, როგორ უყვიროდა ვიღაც ქალი სახლის პატრონს და მეზობელი ამბობდა, ის ვიღაც... მისი ქალიშვილი იყოო. სამართალდამცავებისთვის წარმოუდგენელი ჩანდა საქმეში გოგოს მონაწილეობა, რადგან მკვლელს ისიც გამწარებული ეძებდა, მაგრამ მეზობელი გაჯიუტდა, გინდა თუ არა, იმის ხმა იყოო. ძალოვნებმა შორი გზის მოვლა არჩიეს და გარდაცვლილის ქალიშვილს ჰკითხეს, ხომ არ ყოფილა ისეთი ნივთ, რომელიც მამამ იყიდა და მას ისეთი ფასი შეიძლებოდა ჰქონოდა, მთელი ცხოვრება უზრუნველად ეცხოვრაო. გოგონამ ხელები გაასავსავა, ასეთი არაფერი ყოფილაო, მაგრამ გამომძიებელი მიხვდა, რომ მიზანში მოარტყა, გოგონამ რაღაც იცოდა. ამიტომ, სანამ ის აზრზე მოვიდოდა და მოქმედებას დაიწყებდა, მისი ერთოთახიანი ბინა სასწრაფო წესით გაჩხრიკეს. ყველაზე საეჭვო თუ საყურადღებო, რაც ბინაში ნახეს, ძველებური ხატი იყო. ის შესაფასებლად ექსპერტებს წაუღეს.

„თქვენ გვთხოვთ იმ ხატის შეფასებას, რომელსაც ფასი არ აქვს, შეუფასებელია. მერვე-მეცხრე საუკუნის ხატწერაა და ამას, უბრალოდ, ვერ გაყიდით, რადგან წარმომავლობას თუ არ დაამტკიცებთ, დაგიჭერენ. მილიონი და ორი მილიონი სასაცილო თანხაა, ეს თუ გაიყიდება, ბევრად მეტს გადაიხდის ევროპის ნებისმიერ მუზეუმი“, – ასეთი იყო ექსპერტთა პასუხი.

ცხადი გახდა, რომ გარდაცვლილი სწორედ ამ ხატს გულისხმობდა, როცა უზრუნველ ცხოვრებაზე საუბრობდა, მაგრამ... ამის გამო, მამა რატომ უნდა მოეკლა? ნუთუ, ის ერთადერთ შვილს არაფერს უწილადებდა?!

„როცა ეს ხატი მანახა, დავმუნჯდი და ასე მითხრა, კლიენტი მყავს, ნახევარ მილიონს მაძლევსო. მივხვდი, რომ ვიღაც ატყუებდა, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ეს საოცრება საქართველოდან გავიდოდა. მამას მუხლებში ჩავუვარდი, მე მაჩუქე, მუზეუმს მივუტან-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. მაშინ ვკარი გამწარებულზე ხელი და ისე გამოვიდა, რომ მამა მოვკალი. მართლა მუზეუმისთვის მინდოდა ეს ხატი და თუ გნებავთ, ნუ დამიჯერებთ“, – განაცხადა გოგონამ.

გაგიკვირდებათ და, სასამართლომ მას პირობითი მსჯავრი მისცა. მიზეზად ის დასახელდა, რომ ბრალდებულს მუზეუმისთვის ბოლო პერიოდში არაერთი ნივთი ჰქონდა უსასყიდლოდ გადაცემული და მოსამართლემ დაიჯერა, რომ ის ხატსაც, სწორედ მუზეუმისთვის ამზადებდა.

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ კრიმინალები არ მიესალმებიან ისეთ დანაშაულს, რომელიც, ასე ვთქვათ, დაუფიქრებლად არის ჩადენილი. ახლავე აგიხსნით, რას ვგულისხმობ. მაგალითად, როცა ვიღაც, ქუჩაში ქალს (კაცს, ბავშვს, მოხუცს) ჩანთას გამოსტაცებს და გაიქცევა, ან საყურეს ჩამოგლეჯს, ან ყელსაბამს შეაწყვეტს... კრიმინალები ამას იმით ხსნიან, რომ დაზარალებული, შესაძლოა, „კაი ბიჭის“, ან „კანონიერი ქურდის“ და, ძმა, დედა, მამა, ბებია-ბაბუა იყოს. ჰო, მათ ურჩევნიათ, ზუსტად იცოდნენ, ვის წინააღმდეგ სჩადიან დანაშაულს, მერე ავტორიტეტების წინაშე პასუხისმგებლობა რომ არ მოუხდეთ.

„უწყინარი“ მოხუცის კრიმინალური ვნებანი

როგორ გახდა ყოფილი სამხედრო უბნის მოზარდების „ატამანი“

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, შეიძლება ითქვას, რომ უპრეცედენტოა. უპრეცედენტო არა იმიტომ, რომ ასეთი რამ არ მომხდარა, არამედ, მისი გაგრძელებისა და მოვლენების საოცრად განვითარების გამო. მოკლედ, ახალგაზრდა ქალს პირდაპირ კორპუსის წინ დახვდა სამი ბიჭი და ჩანთის წართმევა დაუპირა. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია და ყვირილი მორთო. თავდამსხმელებმა მას თავში აგურის ნატეხი ჩაარტყეს და გონება დააკარგვინეს. ადგილზე მილიცია და სასწრაფო დახმარების მანქანა პენსიონერმა გამოიძახა, რომელიც ინციდენტს ასე, 30 მეტრიდან უყურებდა, მაგრამ ჯოხით გაჭირვებით დადიოდა და ამიტომ, დახმარება ვერ შეძლო. დახმარებას ვინ ჩივის, როცა სამართალდამცავები მოვიდნენ, ქალის ნახვაზეც უარი თქვა, სუსტი გული მაქვს, შეიძლება, მოვკვდეო და აღარც დააძალეს.

„ყოველდღე ეზოში ვარ, ყოველდღე აქ ვისვენებ, გადაადგილება მიჭირს და ამის გამო, ჩემი ოროთახიანი ბინა, რომელიც მეხუთე სართულზე იყო, პირველ სართულზე, ერთოთახიანში გადავცვალე. ჰოდა, როცა დავინახე, რომ ამ ქალს თავს დაესხნენ, კი ავყვირდი, მაგრამ აზრი? მერე სახლში შევედი, დავრეკე და დანარჩენი თქვენც იცით“, – განაცხადა მოხუცმა და იქვე დააყოლა, თავდამსხმელების დანახვა გამიჭირდა, რადგან ჯერ ერთი, სათვალეს ვხმარობ და 30 მეტრზე დანახვა მაინც გამიჭირდებოდა, ახლა კი, სათვალის გარეშე ვიყავი და მხოლოდ სილუეტებს ვხედავდიო.

სამართალდამცავთა მთავარი იმედი ის გახლდათ, რომ ექიმთა ვარაუდით, ქალი აუცილებლად გადარჩებოდა და მეტიც, მეორე დღეს, ჩვენების მიცემასაც მოახერხებდა. ასეც მოხდა, მეორე დილით ქალი დაკითხვისთვის მზად იყო, მაგრამ მასთან შესულ გამომძიებელს, პირველი კითხვა თავად დაუსვა.

„მე კარგად ვარ, მაგრამ როგორ არის ის კაცი, რომელიც გამომექომაგა და რომელიც დაჭრეს“, – იკითხა ქალმა და გამომძიებელმა გაოცებისგან პირი დააღო. არც იმ პენსიონერს, რომელმაც სამართალდამცავები გამოიძახა, არც სხვას არ უთქვამს, რომ ქალს ვიღაც გამოექომაგა და თან დაჭრეს. მით უმეტეს, რომ ქალი გათიშული იყო და წესით, ვერ უნდა დაენახა, თუ ვინმე გამოექომაგა და რაც მთავარია, წესით, ეს ვერ უნდა აღექვა. ამიტომ, გამომძიებელმა ქალს კითხვით სავსე თვალები მიაპყრო.

„რა არის გაუგებარი? ჩემთვის ჩანთის წართმევა სურდათ, მე წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანი, ზურგიდან მომეპარა და რაღაც მძიმე ჩამარტყა. დავეცი, მაგრამ მაშინვე არ გავთიშულვარ და დავინახე, როგორ ეცა ვიღაც კაცი იმ ლაწირაკებს, ჯერ ერთს დაარტყა და დაბლა დააგდო, მერე მეორეს დაარტყა, მაგრამ მესამემ დანა დაარტყა და დავინახე, კაცი როგორ ჩაიკეცა. მერე გავითიშე და აღარაფერი დამინახავს. ჰოდა, ახლა მარტივ კითხვას ვსვამ, როგორ არის ის კაცი, ვინც ჩემთვის სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო“, – ჯიუტად ამბობდა ქალი.

გამომძიებელი უფრო დაიბნა, ქალის გამოკითხვა გადადო და პენსიონერის დასაკითხად წავიდა.

„ვინმე ჩაერია იმ ქალის დასაცავად? მე არავინ დამინახავს, როცა მივხვდი,ვერაფრით დავეხმარებოდი, მაშინვე სახლში წავჩაქჩაქდი დასარეკად. აი, როცა სადარბაზოში შევედი, მაშინ თუ გამოჩნდა ვინმე, ვერ გეტყვით“, – განაცხადა მან.

უკან დაბრუნებულ გამომძიებელს სიურპრიზი ელოდა – ექსპერტმა, ბალახზე მუქი ფერის ლაქა ნახა და გადაჭრით ამტკიცებდა, სისხლია, ოღონდ მხოლოდ ექსპერტიზის შემდეგ ვიტყვი, ადამიანის სისხლია, თუ რომელიმე ცხოველის, ან ფრინველისო. ექსპერტიზის პასუხი რამდენიმე საათში გახდა ცნობილი.

„შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სისხლი მამაკაცს ეკუთვნის და ის ახალია ანუ 24 საათზე მეტი არ არის გასული, რაც სისხლი ბალახზე მოხვდა“, – წერდა ექსპერტი და გამომძიებელი დაზარალებულს ისევ საავადმყოფოში მიადგა.

„მხოლოდ ერთი ბიჭის სახე მახსოვს და ისიც სხვებთან შედარებით უკეეთესად, თორემ ძალიან კარგად არც ის მახსოვს. ასე, 20-22 წლის ბავშვები იქნებოდნენ, ჰო, ჩემთვის ბავშვები. რაც შეეხება მამაკაცს, მისი სახე საერთოდ არ მახსოვს, ბუნდოვნად ჩანდა, სილუეტებით, გრძნობას ვკარგავდი და მაგიტომ“, – განაცხადა ქალმა.

გამომძიებელი ისევ შემთხვევის ადგილზე მივიდა და ახლა სისხლს კი არა, ნივთმტკიცებას ეძებდა და აშკარად გაუმართლა – მან პიჯაკიდან აგლეჯილი ღილი იპოვა და ექსპერტებს წაუღო. ექსპერტებმა საინტერესო რამ თქვეს – „ეს ძვირადღირებული პიჯაკის ღილია, ასეთები დედაქალაქში მხოლოდ ორ მაღაზიაში იყიდება და მასაც ერთეულები თუ ყიდულობენ“.

მაშინ ასე იყო, ყველაფერი ძვირფასი ძნელად მოსაპოვებელი გახლდათ და არავის უკვირდა, თუ პიჯაკში, ვთქვათ, 150 მანეთს ბევრი ვერ გადაიხდიდა. სამართალდამცავები ორივე მაღაზიაში მივიდნენ და გაირკვა, რომ ასეთი ფირმის პიკაჯი სულ ორი ცალი იყო გაყიდული, ერთი – იმავე მაღაზიის დირექტორმა იყიდა, რომელიც კაბინეტში საღ-სალამათი იჯდა, ხოლო მეორე – ხორცის კომბინატის დირექტორის მოადგილემ, რომელიც... სამსახურში სწორედ იმ დღის შემდეგ აღარ გამოჩენილა. გამომძიებელი მისი ბინის მისამართზე მივიდა.

„მეუღლე რაღაცაზე გამიბრაზდა და სახლიდან წავიდა. მითხრა, სასტუმროში დავრჩებიო, ამიტომ არ მიძებნია. იცის ხოლმე ასე გაბუტვა და გაქცევა, ისიც ვიცი, რომელ სასტუმროში ჩერდება და ისიც შემიძლია გითხრათ, ახლა რომ წავიდა, მთელი დანაზოგი თან წაიღო, აქაოდა, აღარ ვაპირებ დაბრუნებასო, მაგრამ ზუსტად ვიცი, დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს“, – განაცხადა მეუღლემ.

რადგან პიროვნება დადგენილი იყო, არც მისი სამედიცინო ბარათის მოძიება გახდა პრობლემა და სამართალდამცავებმა უკვე ზუსტად იცოდნენ, რომ დაჭრილი სწორედ ხორცკომბინატის დირექტორის მოადგილე გახლდათ. მაგრამ, სად გაქრა დაჭრილი? ის არცერთ საავადმყოფოში არ იმყოფებოდა და რაც მთავარია, არ მისულა სასტუმროში, სადაც წესით უნდა დაბინავებულიყო და დაიკარგა ფულიც, რომელიც მას თან ჰქონდა. გამომძიებელი ისევ პენსიონერს მიადგა, მაგრამ ის შინ არ დახვდა და ამიტომ, ეზოში დაელოდა. მანამდე მეზობლებს გამოელაპარაკა და...

„ჰო, ეს მოხუცი... ადრე ძალიან მაგარი კაცი იყო, სამხედრო. ეზოს ბიჭებსაც სამხედრო წესებით წვრთნიდა, ყველა „სმირნაზე“ ჰყავდა, მერე დამბლა დაეცა და დაავადმყოფდა, მაგრამ ბიჭები მას ისევ უსმენენ, თითქოს ეშინიათ მისი“, – უთხრა მეზობელმა გამომძიებელს და ისიც ჩაფიქრდა. მან მოხუცის „ხელქვეითი“ ბიჭები მოიკითხა და ერთ-ერთის სანახავად წავიდა. ბიჭი შინ იყო, სადილობდა, გამომძიებელმა კი, ზერელე კითხვა დაუსვა, რამე საეჭვო ხომ არ დაგინახავსო და ასე იმიტომ მოიქცა, რომ ზუსტად იცოდა, ერთ-ერთი თავდამსხმელი სწორედ ეს ბიჭი გახლდათ, რადგან თვალი ჩალურჯებული ჰქონდა. დანარჩენი ორი შინ არ დახვდა და გამყოფილებაში მოხუცის უნახავად დაბრუნდა. ერთ საათში, მოხუცსა და მის სამ „მეგობარ“ ბიჭს ოპერმუშაკები უთვალთვალებდნენ.

„მათი თავშეყრის ადგილი ავტოფარეხია, რომელიც მოხუცს ეკუთვნის და იქ დღეში რამდენჯერმე მიდიან. მგონია, რომ მათ იქ ან დაჭრილი ჰყავთ, ან გარდაცვლილი“, – ოპერმუშაკები ერთ აზრზე იყვნენ. სამართალდამცავებმა ავტოფარეხს ალყა შემოარტყეს და იქ მაშინ შევიდნენ, როცა მოხუცი და ორი ბიჭი ადგილზე იმყოფებოდა. ძალოვნების გამოჩენას ისინი აშკარად არ ელოდნენ და დაიბნენ, მაგრამ მოხუცი აზრზე მალე მოვიდა და რაც შეიძლებოდა, მშვიდად იკითხა: „რა ხდება?“ თუმცა, ბიჭებს თვალი ავტოფარეხის კუთხისკენ გაექცათ, იქ მიყრილ მუყაოს ყუთებს ძალოვნებმა ფეხი გაჰკრეს და კუთხეში უგონოდ მყოფი მამაკაცი დაინახეს. კაცს პულსი ჯერ კიდევ ესინჯებოდა და იმის მიუხედავად, რომ მოხუცმა ბიჭებს მკაცრად შეუძახა, არაფერი თქვათო, ცხადი იყო, დაკითხვაზე ისინი აუცილებლად გატყდებოდნენ.

„ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ქუჩაში ხალხს ვძარცვავთ. ის კაცი მოულოდნელად გამოჩნდა და დანა შიშით დავარტყი, ჰო, მე დავარტყი. პენსიონერი კი უბრალოდ გვაკონტროლებდა, გვითხრა, ჩემს ფარეხში დამალეთ, დანარჩენს მე მივხედავო. თანხა არ ვიცი, მე არ მინახავს, ალბათ, პენსიონერმა წაიღო“, – თქვა ბიჭმა და ისიც დაადასტურა, რომ მოხუცი ჯიუტად ცდილობდა, სამივე ერთად დაეყოლიებინა იმაზე, რომ დაჭრილი მოეკლათ. მერე, მას სამივე სიცოცხლის ბოლომდე ხელში ეჭირებოდა, მაგრამ გეგმა ჩაიშალა. მოხუცმაც ყველაფერი აღიარა და აღიარა ისიც, რომ მცირე ზომის ჩანთით, ფული სახლში შეინახა.

საბედნიეროდ, მამაკაცი გადარჩა, ბიჭებს სასჯელი არ ასცდათ, აი, მოხუცი კი ციხეს გადაურჩა, რადგან სასამართლომდე ვერ მიაღწია – გულის შეტევით გარდაიცვალა.

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ბ.ჯ., გენდერის ნიშნით განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, დიდ დიღომში, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1987 წელს დაბადებულ კ.ა.-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი კ.ა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ და „მ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც გენდერის ნიშნით განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მიგრაციის დეპარტამენტის და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის ხუთი მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკის, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ჯამში, ხუთი მოქალაქე დააკავეს.

დადგინდა, რომ დაკავებული პირები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ქვეყანაში იმყოფებოდნენ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მათ არ ისარგებლეს გაძევების გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადებით, რაც ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებას გულისხმობს, რის შედეგადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პირების დაკავების თაობაზე.

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ამ დროისთვის დაკავებულები მოთავსებული არიან მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში შემდგომში მათი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების მიზნით.

პარლამენტმა „საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება განახორციელა

საქართველოს პარლამენტმა „საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება განახორციელა.

დოკუმენტი საქართველოსა და ბელგიის სამეფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

შეთანხმება რატიფიცირებისთვის დეპუტატებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ პლენარულ სხდომაზე წარუდგინა.

შეთანხმება მოიცავს თანამშრომლობას ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ, როგორებიცაა ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი, პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხეულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის დანაშაულები, ნარკოდანაშაული, ადამიანებით ვაჭრობა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, ფულის გათეთრება, კორუფცია, კიბერდანაშაული და სხვა.

„საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას ხელი 2024 წლის 2 მაისს, ბრიუსელში მოეწერა.

შეთანხმება ძალაში ორივე მხარის მიერ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ შევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსი ტიპის შეთანხმებები და მემორანდუმები უკვე 35 სახელმწიფოსთან აქვს გაფორმებული.

პარლამენტმა „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ კანონპროექტს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დანაშაულის პრევენციის, დანაშაულის გახსნისა და გამოძიების, აგრეთვე, დაკარგულ პირთა იდენტიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნას ითვალისწინებს.

კანონპროექტის თანახმად, სავალდებულო იქნება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გენეტიკური პროფილის დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. ამასთან, დნმ-ის მონაცემთა ბაზაში აისახება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ფიზიკური პირისგან, გვამისგან, შემთხვევის ადგილიდან ან სხვა მატერიალური საგნიდან განსაზღვრული გენეტიკური პროფილები.

გარდა ამისა, დასაშვები იქნება ნებისმიერი პირის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი გენეტიკური პროფილის დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით, ბიოლოგიური ნიმუშის აღების უფლებამოსილება ექნებათ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვრება ბიოლოგიური ნიმუშისა და გენეტიკური პროფილის შენახვისა და განადგურების წესი. კერძოდ, ბიოლოგიური ნიმუში გენეტიკური პროფილის შექმნისთანავე განადგურდება. რაც შეეხება გენეტიკური პროფილის შენახვის ვადებს, ის განსაზღვრული იქნება ბიოლოგიური ნიმუშის სავალდებულო პროფილირებას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიებისა და პირის ასაკის მიხედვით.

როგორც იქნა, მამარდამ კარი მშრალად შეინახა, კვარაცხელია „იუვეს“ უგოლოდ დაშორდა

ხუთი შეხვედრა დასჭირდა „ვალენსიას“ იმისთვის, რომ მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოეპოვებინა. „ღამურებმა“ საკუთარ მოედანზე „ჟირონა“ მშრალი ანგარიშით, 2:0 დაამარცხეს და ეს იყო პირველი უგოლო შეხვედრა გიორგი მამარდაშვილისთვის. აკი, მატჩამდე ადგილობრივი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა კიდეც ქართველმა კიპერმა, ეს მატჩი გარდამტეხი უნდა გახდეს, თორემ ხუთი ტურის შემდეგ, მოგება თუ არ გვექნება, სერიოზულ მიზნებზე ფიქრი შეგვიძლია დავივიწყოთო.

იტალიის სერია A-ს ცენტრალური შეხვედრა ტურინში შედგა, სადაც „იუვენტუსმა“ ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლის“ უმასპინძლა. ტურინელები აქამდე გოლგაუშვებლად ასპარეზობენ და მათ ბურთი არც ამჯერად გაუშვეს, თუმცა ვერ გაიტანეს და მატჩი უგოლოდ დასრულდა. თავად კვარა აშკარად გადაღლილი იყო და როგორც მერე გამოჩნდა, ეს მწვრთნელმაც შენიშნა – ანტონიო კონტემ ქართველი შემტევი მეორე ტაიმის შუაწელს შეცვალა და ამით დასვენების შესაძლებლობა მისცა.

კატასტროფული მატჩი ჩაატარა ზურიკო დავითაშვილის „სენტ ეტიენმა“. უძლიერესთა შორის წელს დაბრუნებული კლუბი სტუმრად „ნიცას“ ხვდებოდა და ფრანგული პრესა ახლა იმაზე ფიქრობს, რა დაემართათ „სენტ ეტიენის“ ფეხბურთელებს ისეთი, რომ შეხვედრა აბსოლუტურად ყველამ, უბრალოდ, ჩააგდო. შეხვედრაში, საერთო ჯამში, 8 გოლი გავიდა და ყველა სტუმართა კარში.

გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდმა“ საწყისი სამი ტურის შემდეგ, ბოლო სამ ტურში ვეღარ მოიგო და აგერ, გასულ უქმეებზეც დამარცხდა. ტრავმამოშუშებული ქართველი შემტევი მოედანზე 90 წუთის განმავლობაში იყო, თანაგუნდელთა შორის საუკეთესო შეფასებაც დაიმსახურა, მაგრამ რად გინდა, მისმა გუნდმა 1:4 წააგო და ლიდერთა ჯგუფს ჩამორჩა.

დვალიშვილი შემდეგი ბრძოლისთვის 3 მილიონს მიიღებს

მოგეხსნებათ, გასულ კვირას, მერაბ დვალიშვილმა შონ ომალი დაამარცხა და სუპერმსუბუქ წონაში, UFC-ის ქამარიც შემოირტყა. ქართველი მებრძოლი ჩემპიონია და უდიდესი ალბათობით, შემდეგ შეხვედრას და ქამრის დაცვას უმარ ნურმაგომედოვთან შეეცდება, მებრძოლთან, რომელმაც UFC-ში ჯერ მარცხის გემო არ იცის და 18 შეხვედრიდან, 18-ვე მოგებული აქვს.

კითხვები გააჩინა საპრიზო ფონდის გადანაწილების სისტემამ. იმის მიუხედავად, რომ მერაბმა მოიგო, მას 500 000 დოლარი ერგო მაშინ, როცა ომალიმ 3 მილიონი ჩაიჯიბა. როგორც ორგანიზატორებმა ახსნეს, ეს იმიტომ მოხდა, რომ ომალი ჩემპიონი გახლდათ და შესაბამისად, შემდეგ შეხვედრაში, 3 მილიონი უკვე მერაბს ერგება.

მაიდოვი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რიგში ლაშა ბექაურია?

პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე, -90 კგ. კატეგორიაში მოასპარეზე სერბი ძიუდოისტი, ნემანია მაიდოვი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. საქმე ის გახლავთ, რომ მან ბრძოლის დაწყების წინ, პირჯვარი გადაიწერა, რაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესდების მესამე მუხლით იკრძალება ანუ სპორტსმენმა არანაირი რელიგიური გრძნობები არ უნდა გამოამჟღავნოს.

„15 დღის წინ შემატყობინეს, რომ რელიგიური კოდექსის დარღვევის გამო, ნახევარი წლით, ყველა საერთაშორისო ტურნირზე გმოსვლა ამეკრძალა. მიზეზი ისაა, რომ პარიზის ოლიმპიადაზე, ბრძოლის დაწყების წინ, პირჯვარი გადავიწერე. მითხრეს, რომ ბოდიში უნდა მოვიხადო, რასაც არასოდეს ვიზამ. ვაღიარებ, არ ვიცოდი, რომ ამის გამო სასჯელი მემუქრებოდა, მაგრამ რომც მცოდნოდა, პირჯვარს მაინც გადავიწერდი, რადგან რაც მაქვს, ყველაფერი ღმერთმა მომცა, ის ჩემთვის ყველაზე და ყველაფერზე წინაა და ეს არასოდეს შეიცვლება“, – განაცხადა მაიდოვმა.

სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდება ვიდეო, სადაც ჩანს, რომ ბრძოლის დაწყების წინ, პირჯვარს ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი, ლაშა ბექაურიც იწერს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, დასჯის თუ არა ქართველ ძიუდოისტს საერთაშორისო ფედერაცია.

აბა, კანონი ყველასთვის კანონიაო?

სამი თვის წინ, კრივში, სუპერმძიმე წონაში აბსოლუტური ჩემპიონი უკრაინელი ალექსანდრ უსიკი გახდა. მან ლეგენდარული ტაისონ ფიური დაამარცხა და კრივის სამყაროში ყველაზე პრესტიჟული ქამარი შემოირტყა წელზე. ჰოდა, უკრაინელი ჩემპიონი გასულ კვირას, პოლონელმა სამართალდამცავებმა დააკავეს.

„ავტომობილი, რომელსაც უსიკი მართავდა, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, ის არ დაემორჩილა სამართალდამცავების მოწოდებას, არ შეაჩერა მანქანა და განხორციელდა დევნა, რის შემდეგაც უსიკი დავაკავეთ“, – განაცხადეს პოლონელმა სამართალდამცავებმა.

დაკავებულმა უსიკმა ერთი ზარის უფლება ითხოვა და პირდაპირ ქვეყნის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის დაურეკა.

„ველაპარაკე ტელეფონით ალექსანდრ უსიკს, როცა ის დაკავებული იყო. აღშფოთებული ვიყავი ჩვენი ქვეყნის მოქალაქისა და ჩემპიონის მიმართ ამგვარი მოპყრობით. დავავალე უკრაინის შს და საგარეო საქმეთა მინისტრებს, დაუყოვნებლივ გარკვეულიყვნენ ინციდენტის ყველა დეტალში. როგორც მაცნობეს, ახლა ყველაფერი კარგადაა, ჩვენი ჩემპიონი გაუშვეს და მას აღარავინ დააკავებს“, – დაწერა ოფიციალურ გვერდზე ზელენსკიმ.

სხვისი რა გითხრათ და, ჩვენი აზრით, კანონი როგორც ჩემპიონისთვის, ისე რიგითი ადამიანებისთვისაც ერთი უნდა იყოს და სამართალდარღვევის გამო, პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვისაც პრეზიდენტთან დარეკვა შეუძლია და არ შეუძლია.

კონფლიქტი საყურეების გამო

მოგეხსენებათ, კრიშტიანუ რონალდუმ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მას შემდეგ დატოვა, რაც გუნდის თავკაცთან, ერიკ ტენ ჰაგთან ურთიერთობა ვერა და ვერ ააწყო. ნიდერლანდელი სპეციალისტი პორტუგალიელს არ ათამაშებდა და იმასაც ამბობდა, არ ვაპირებ, გუნდი მასზე ავაწყოო. არადა, რონალდუმ მას შემდეგ არაერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში ისევ შეუძლია და ტენ ჰააგი შეცდა.

„პირველი კონფლიქტი პირველივე ვარჯიშზე დაიწყო, როცა მწვრთნელმა ყველა ფეხბურთელს საყურეების მოხსნა მოსთხოვა. მას ყველა დაემორჩილა რონალდუს გარდა და მწვრთნელმა თანაშემწეს, სტივ მაკლარენს უთხრა, პრობლემა მოეგვარებინა. მაკლარენსა და რონალდუს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, შესაბამისად, ცხადი იყო, რომ კრიშტიანუ მას უარს ვერ ეტყოდა, ჰოდა, გაბრაზებულმა, 1000 ფუნტად ნაყიდი საყურეები მოიხსნა და მოისროლა. სწორედ მას შემდეგ გადაწყვიტა ტენ ჰააგმა, რომ რონალდუ არ სჭირდებოდა“, – განაცხადა „მანჩესტერის“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

პლატინის იდეა – მოედანზე 10 ფეხბურთელი უნდა თამაშობდეს

ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი, 2007-დან 2015 წლამდე უეფას პრეზიდენტი, მიშელ პლატინი საინტერესო იდეით გამოვიდა. მისი აზრით, მოედანზე, ერთი გუნდის შემადგენლობაში 11 ფეხბურთელი ბევრია და ათიც საკმარისი იქნება. ფრანგმა საკუთარი მოსაზრება საინტერესოდ ახსნა.

„საუკუნეზე მეტია, გუნდების სასტარტო შემადგენლობა 11 ფეხბურთელისგან შედგება. თუმცა, ადრე, ფეხბურთელები ნაკლებად და ნელა დარბოდნენ, ისინი ფიზიკურად გაცილებით სუსტები იყვნენ, ვიდრე დღეს. შეხედეთ ახლანდელ მოთამაშეებს, ყველა ათლეტია და ამიტომ, ვფიქრობ, თითო გუნდში 10 კაცი, მეტ სივრცეებს გააჩენს და თამაშს უფრო სანახაობრივს გახდის“, – განაცხადა პლატინიმ და არ არის გამორიცხული, ამ იდეის განხილვა უკვე ახალი წლის შემდეგ დაიწყოს.

იამალს მოკვლით ემუქრებიან

დაახლოებით ორი თვის წინ, „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ლამინ იამალმა განაცხადა, რომ მისი ოჯახი მუქარის წერილებს სისტემატიურად იღებს და მათ მოკვლით ემუქრებიან. სამართალდამცავებმა მაშინ ამ ამბავს წაუყრუეს, აქაოდა, ჩვენთვის ოფიციალურად არავის მოუმართავსო და გულშემატკივრებმა ჩათვალეს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ეს ყურადღების მისაქცევად გააკეთა. იამალს ესპანეთის ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის მოგებაში ლომის წილი მიუძღვის, ის ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც აღიარეს და აგერ, სეზონიც საუცხოოდ დაიწყო – 6 მატჩში, მან 4 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა შეასრულა. ჰოდა, მაშინ, როცა მას მხოლოდ ფეხბურთსა და სკოლის გაკვეთილების მომზადებაზე უნდა ეფიქრა, სხვა საფიქრალი გაუჩნდა, რადგან მამამისი, მუნირ ნაზრაუი დანით დაჭრეს.

ჭრილობა იმდენად სერიოზული იყო, რომ იამალის მამა საავადმყოფოში გადაიყვანეს და მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ფეხბურთელის ბებიამ კი განაცხადა, რომ უკვე რამდენიმე თვეა, რაც მუქარის წერილები, როგორც ტელეფონში, ისე ელექტრონულ ფოსტაზე ყოველდღიურად მოდის და მოკვლით არა მარტო იამალს, არამედ, მისი ოჯახის ყველა წევრს ემუქრებიან. როგორც იქნა, ყურები სამართალდამცავებმაც გამოიფხიკეს და ოფიციალური ძიებაც დაიწყეს, მით უმეტეს, რომ ძალოვნებს ოფიციალური განცხადებით, სწორედ ფეხბურთელის ბებიამ მიმართა.

რა ქონებას ფლობს საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი

რატი იონათამიშვილის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

საინტერესოა, რა ქონებას ფლობს ამნისტიის შესახებ კანონის ერთ-ერთი ავტორი და საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, რატი იონათამიშვილი. თუმცა, ვიდრე მის ბიოგრაფიას და ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ რატი იონათამიშვილის ძალისხმევით, ქართველ პარალიმპიელ გიგა ოჩხიკიძეს პარიზის ოლიმპიადაზე შეუნარჩუნდა ოქროს მედალიც და მსოფლიო რეკორდიც.

რატი იონათამიშვილი დაიბადა თბილისში, 1979 წლის 9 ივნისს. 2002 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ამის შემდეგ, 2002-2003 წლებში, იყო გამომცემლობა „სანოს“ ლიტმუშაკი; 2004 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; 2008-2011 წლებში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროექტის პიარ-მენეჯერი; 2010-2016 და 2005-2014 წლებში – კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პოლიტიკური პროექტების დირექტორი; 2014-2015 წლებში – თბილისის მერის მრჩეველი, შშმ პირთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი; 2015-2016 წლებში – თბილისის საკრებულოს წევრი; 2016-2020 წლებში – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“; 2020 წლიდან – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

2024 წლის 29 მაისს, რატი იონათამიშვილი არჩეულ იქნა საპროკურორო საბჭოს წევრად. ჰყავს მეუღლე, თინათინ მგელაძე, რომელიც წლების მანძილზე, თბილისის მერიის პრესსამსახურში მუშაობდა.

რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, დეპუტატმა ბოლოს, 2024 წლის 29 იანვარს ჩააბარა. დეკლარაციის მიხედვით, ირკვევა, რომ რატი იონათამიშვილის სახელზე არ არის რეგისტრირებული არც სახლი, არც ბინა, არც მიწის ნაკვეთი და არც ავტომობილი. სამაგიეროდ, სხვადასხვა ბანკში აქვს მიმდინარე, სახელფასო და საკრედიტო ანგარიშები.

რატი იონათამიშვილის საკმაოდ მოკრძალებული დეკლარაციიდან ირკვევა, რომ გააჩნია 30 000 ლარის დანაზოგი, სახელფასო ანგარიშზე ერიცხება 2828 ლარი, მიმდინარე ანგარიშზე – 11 819 ლარი, ხოლო საკრედიტოზე – 20 105 აშშ დოლარი. მისი, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრისა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის წლიური შემოსავალი 44 697 ლარია.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ რატი იონათამიშვილს აქვს 113 900 აშშ დოლარის იპოთეკური სესხი, რომლის გასავალია 9 979 აშშ დოლარი.

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, რატი იონათამიშვილის შემოსავალი სტიპენდიის სახით 31 886 ლარია, ხოლო ინტელექტუალური შრომის ანაზღაურების სახით, ამ კომიტეტიდან 20 000 ლარი ერიცხება.

აინშტაინის წერილი ოთხ მილიონად გაიყიდა

აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტისთვის გაგზავნილი ალბერტ აინშტაინის წერილი, რომელიც ბირთვულ საფრთხეს ეხებოდა, ნიუ-იორკში გამართულ აუქციონზე, თითქმის ოთხ მილიონად – 3 920 000 დოლარად გაიყიდა. გზავნილი დაწერილია უნგრელი ფიზიკოსის, ლეო სილარდის მიერ, აინშტაინმა კი მას ხელი მოაწერა, ხელისუფლების ყურადღება რომ მიექცია. წერილი, რომელიც აშშ-ის 32-ე პრეზიდენტისადმი იყო გაგზავნილი, 1939 წლის 2 აგვისტოთია დათარიღებული. მასში სახელგანთქმული ფიზიკოსი პირველ პირს ამერიკის აფრთხილებდა, რომ გერმანიამ შეიძლება პირველმა შექმნას ბირთვული იარაღი და სთავაზობდა, აშშ-ს სასწრაფოდ დაეწყო საკუთარი პროგრამა. წერილის მიღების შემდეგ, რუზველტმა შექმნა კომიტეტი, რომელიც „მანჰეტენის პროექტის“ წინამორბედი გახდა. აინშტაინის წერილი Microsoft-ის თანადამფუძნებლის, პოლ ალენის კოლექციაში ინახებოდა.

ნორვეგიაში ელექტრომობილები მოსწონთ

ნორვეგია პირველი ქვეყანა გახდა მსოფლიოში, სადაც ელექტრომობილების რაოდენობამ საწვავზე მომუშავე მანქანების რიცხვს გადააჭარბა. ქვეყნის საგზაო მოძრაობის საინფორმაციო საბჭოს მონაცემებით, ეს პირველად მოხდა ნორვეგიაში. საბჭოს ცნობით, ამ სკანდინავიურ ქვეყანაში, სულ 2.8 მილიონი მსუბუქი ავტომობილია რეგისტრირებული, აქედან 754 303 – ელექტროკარია, 753 905 კი – საწვავზე მომუშავე. ასევე, ქვეყანაში, დაახლოებით, 366 000 ჰიბრიდული მანქანაა, მილიონი კი დიზელის ძრავაზე მუშაობს, თუმცა მათი რაოდენობა სწრაფად მცირდება. The Washington Post-ის ცნობით, ნორვეგია ელექტრომანქანების დანერგვის სფეროში მთავრობის ინიციატივების გამო ლიდერობს. აქ ამგვარი ავტომობილების მფლობელებისთვის გარკვეული შეღავათებია დაწესებული.

პროფესია – ქორწილების ჩამშლელი

ერთმა ესპანელმა მამაკაცმა საეჭვო, მაგრამ მეტად შემოსავლიანი ბიზნესი მოიფიქრა. ის ნებისმიერ საქორწინო ცერემონიას შლის. საქმე ძალიან მარტივია: მამაკაცი უნდა მივიდეს ეკლესიაში და თავგამოდებით ამტკიცოს, რომ ის პატარძლის საყვარელია და თან ქალს მასთან ერთად გაქცევაც უნდა ეხვეწოს. ამ მომსახურებაში ქორწილების ჩამშლელი სულ რაღაც 550 დოლარს იღებს. მისი სამსახურით, ძირითადად, ის გოგონები სარგებლობენ, რომლებიც დარწმუნებულები არ არიან საკუთარი არჩევანის სისწორეში, უარის თქმა კი ცუდ საქციელად მიაჩნიათ. პატარძალმა არ იცის, როგორც დააღწიოს თავი გამოუვალ მდგომარეობას და სწორედ მაშინ, მხსნელად ეს ესპანელი ევლინება. ზოგჯერ გოგონას „გადამრჩენელს“ ცემა-ტყეპის ატანაც უწევს, თუმცა ამისთვის მას დამატებით 50 დოლარს უხდიან. გამჭრიახი მამაკაცის სერვისი იმდენად პოპულარულია, რომ ნოემბრის ჩათვლით, მასთან ადგილები უკვე დაკავებულია.

ცათამბჯენი ლეგენდარული მსრბოლელისთვის





ბრაზილიის ქალაქ ბალნეარიუ-კამბორიუში, „ფორმულა-1“-ის ლეგენდარული პილოტის, აირტონ სენას პატივსაცემად, ცათამბჯენის აშენებას გეგმავენ. როგორც ვარაუდობენ, Senna Tower ქვეყანაში ყველაზე მაღალი შენობა და მსოფლიოში ყველაზე მაღალი საცხოვრებელი ცათამბჯენი იქნება. მისი ზუსტი სიმაღლე ჯერ არ გაცხადებულა, თუმცა 500 მეტრზე ნაკლები არ იქნება. შენობაში სასტუმრო და აპარტამენტები განთავსდება. მშენებლობის დაწყებას მომავალი წლის მეორე ნახევარში ვარაუდობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ცათამბჯენის კონცეფციაზე მუშაობდა დიზაინერი ლალალი სენა, რომელიც აირტონის დისშვილია.

ახალი იმპლანტი უსინათლოებისთვის

კომპანია Neuralink-ის ახალი იმპლანტი – Blindsight, დაბადებიდან უსინათლო ადამიანებს დანახვის შესაძლებლობას მისცემს. ამის თაობაზე მილიარდერი ილონ მასკი სოციალურ ქსელ X-ში, საკუთარ გვერდზე წერს. მისი თქმით, სიახლე თვალს აუხელს მათაც, რომლებმაც თვალი და ოპტიკური ნერვი დაკარგეს. ახალი მოწყობილობის მფლობელს თავიდან გამოსახულების დაბალი ხარისხით დაკმაყოფილება მოუწევს, მაგრამ მომავალში, როგორც მასკი ირწმუნება, ის ორ – ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სპექტრში ხედვის შესაძლებლობას მისცემთ. აშშ-ის მედიკამენტებისა და საკვების მარეგულირებელმა სააგენტომ უკვე მოიწონა იმპლანტი, რაც მისი გამოყენების დაწყებას დააჩქარებს.

ბიბლიოთეკაში გამოძინებასაც სთავაზობენ

საფრანგეთში, ქალაქ ლილიეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, კაფსულა-საწოლები გაჩნდა, სადაც დაღლილ სტუდენტებს დასვენება შეეძლებათ. ახალგაზრდები მეცადინეობაში დიდ დროს ატარებენ და ყოველთვის არ აქვთ საშუალება, გამოიძინონ. კაფსულები ფუტურისტულ სტილშია დამზადებული და განმარტოებისთვის მისი ჩაკეტვაც შეიძლება, მძინარე რომ არავინ შეაწუხოს. ამ კაფსულა-საწოლში დასვენების დრო შეზღუდული არ არის, მხოლოდ სტუდენტებს სთხოვენ, არ გაატარონ იქ ძალიან დიდი დრო. გარდა ამისა, საწოლის შიგნით ჭამა და დალევა არ არის ნებადართული.

ქრისტეს ყველაზე დიდი ქანდაკება სომხეთში

სომხეთში, მთა ატისზე, იესო ქრისტეს ყველაზე დიდი ქანდაკების აგებას აპირებენ. გეგმის მიხედვით, თავად ქანდაკების სიმაღლე 33 მეტრი იქნება, რომელსაც 44-მეტრიან კვარცხლბეკზე განათავსებენ. ამგვარად, მონუმენტი სიმაღლით ორჯერ და მეტადაც გადააჭარბებს რიო-დე-ჟანეიროში მდგარ ქრისტეს ქანდაკებას, რომლის სიმაღლე, კვარცხლბეკთან ერთად, 38 მეტრია. თანაც, ის არ არის იესოს ყველაზე დიდი ქანდაკება მსოფლიოში – ასეთ სტატუსს პოლონეთში, ქალაქ სვებოძინში მდგარი ქრისტე-მეფის გამოსახულება ფლობს. მისი სიმაღლე 52 მეტრია. მაცხოვრის მონუმენტზე სომხეთში, ცნობილი მოქანდაკე არმენ სამველიანი და მისი 15-კაციანი გუნდი მუშაობს. მათი თქმით, ქანდაკება ალუმინის შეღებილი ფურცლებისგან შეიკვრება და 90% უკვე მზად არის.

მიშელ ობამამ საკუთარი სასმელი გამოუშვა

აშშ-ის ყოფილმა პირველმა ლედიმ, მიშელ ობამამ უალკოჰოლო სასმელის საკუთარი ბრენდი გამოუშვა. ადგილობრივ მედიაში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ექს-პრეზიდენტ ბარაკ ობამას მეუღლე, ჩრდილოეთ კალიფორნიაში, ერთ-ერთ მაღაზიაში რეკლამას უწევს თავის ახალ, Plezi Fizz სასმელს. 60 წლის მიშელი მაღაზია Costco-ს მომხმარებელს აღფრთოვანებით უყვებოდა, რომ სასმელი არ შეიცავს კალორიებს და ძალიან სასიამოვნო გემო აქვს. ყოფილი პირველი ლედი ბრენდ Plezi Nutrition-ის თანადამფუძნებელია, რომელიც მომხმარებელს სასარგებლო საკვებ პროდუქტებს სთავაზობს.

პაციენტებისთვის ასტროლოგი აიყვანეს

არგენტინაში, ბუენოს-აირესის ერთ-ერთ კლინიკაში, პაციენტები თერაპიას მხოლოდ ექიმებთან არ გადიან. პიროვანოს ჰოსპიტალმა ოფიციალურად მიიღო სამსახურში სპეციალისტი, რომელიც კვირაში ერთხელ ატარებს სემინარებს ასტროლოგიაში. კლაუდია რიკოს „ვარსკვლავური“ თერაპია სტანდარტული მკურნალობის დამატებაა, მაგალითად, დეპრესიული აშლილობისას. ამგვარი „მკურნალობისას“, ასტროლოგი ადგენს ავადმყოფების ვარსკვლავურ რუკას და მათი ჰოროსკოპის მიხედვით, ჰყვება პაციენტის წარსულსა და პროგნოზირებს მომავალზე.

მაშველებთან რეკვისთვის დააპატიმრეს

იაპონიის პოლიციამ, ტიბას პრეფექტურაში, 51 წლის ნიროკო ხატაგამი დააკავა. მას, თითქმის სამი წლის განმავლობაში, სამაშველო სამსახურის 2 761 ცრუ გამოძახება ედება ბრალად. ქალი ადგილობრივ სახანძრო სამსახურისთვის მუშაობაში ხელშეშლის გამო დააპატიმრეს. ნიროკომ აღიარა, რომ მაშველებთან რეკავდა, როგორც საკუთარი სახლიდან, ისე მეზობლად მდებარე ადგილებიდან, რადგან თავს მარტოდ გრძნობდა და სურდა, რომ ვინმეს მისთვის მოესმინა, ან ყურადღება მიექცია. ქალი დარეკვისას ცრუ ინფორმაციას აწვდიდა მაშველებს, ხან მუცელი სტკიოდა, ხან – ფეხები, ხან ნარკოტიკების ზედოზირებას უჩიოდა, ადგილზე მისულ სპეციალისტებს კი დახმარებაზე უარს ეუბნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ადგილობრივმა სამაშველო სამსახურმა ქალს უჩივლა და ის მხოლოდ ამის შემდეგ დააკავეს. კვლევებით ცნობილია, რომ იაპონიაში, 1.5 მილიონი ადამიანი „მწვავე მარტოობისგან“ იტანჯება.

ქალმა პითონს აჯობა

ტაილანდელი ქალი ორი საათის განმავლობაში ებრძოდა ოთხმეტრიან პითონს, რომელიც მის მოხრჩობას ცდილობდა. გველი მას მაშინ დაესხა თავს, როცა ის თავის სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა. პითონი სახლში შეძვრა, ქალს ფეხზე უკბინა, შემდეგ კი მის სხეულზე შემოხვევა დაიწყო. 64 წლის არუმ არუნროჯი ყვიროდა და შველას ითხოვდა, იმავდროულად, გველისგან თავის დაღწევას ცდილობდა. მხოლოდ საათნახევრის შემდეგ გაიგო მეზობელმა ყვირილის ხმა და პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავები და მაშველები ადგილზე თითქმის ორი საათის შემდეგ მივიდნენ, ქალი იატაკზე იჯდა და ძლივსღა სუნთქავდა, გარს კი უშველებელი პითონი ეხვია. ის გაათავისუფლეს ქვეწარმავლის „კლანჭებიდან“ და საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაზარალებულს, ნაკბენის გამო, მკურნალობის კურსის გავლა მოუწევს. ეს გველები არ არიან შხამიანები, თუმცა ინფექციის გამოწვევა შეუძლიათ. პითონები მსხვერპლს გაგუდვით კლავენ. მხოლოდ გასულ წელს, ტაილანდში, გველის კბენის გამო მკურნალობა 12 ათასზე მეტმა ადამიანმა გაიარა.

შავი პურის ნაყინს ჰყიდიან



დიდ ბრიტანეთში უჩვეულო ნაყინი იყიდება, რომელსაც შავი პურის გემო აქვს. როგორც გამოცემა The Mirror წერს, გემოების ასეთი შერწყმა კომპანიამ English Heritage შექმნა. ადრე კომპანიამ არაერთხელ ჩაატარა ექსპერიმენტები და ცივი დესერტი სხვადასხვა უცნაური გემოებით შესთავაზა კლიენტებს. მაგალითად, ნაყინი კიტრისა და პარმეზანის გემოებით. ამჯერად, კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგი ახალი ნაყინია შავი პურის არომატით. მასზე მომხმარებლებს არაერთგვაროვანი მოსაზრებები აქვთ – ზოგმა გემოების ასეთი შერწყმა გააკრიტიკა, ზოგი კი პირიქით, მისით აღტაცებულია. შავი პურის ნაყინი მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე იყიდება და ერთი ცალის ფასი 7 გირვანქა სტერლინგია. როგორც გამოცემა წერს, ახალ ცივ დესერტს საფუძვლად ძველი, გეორგიანული ეპოქის რეცეპტი უდევს.

კრუიზს კატებისთვის აწყობენ

სინგაპურში, სპეციალური საზღვაო კრუიზები ამოქმედდა მხოლოდ კატებისა და მათი მფლობელებისთვის. შინაური ცხოველები და მათი პატრონები 47-მეტრიანი ხომალდის ბორტზე მიიწვიეს, რომელიც კუნძულ სენტოზას გარშემო იმოძრავებს. გემზე კატებისთვის სპეციალური სათამაშო ზონები და წამოსაწოლი ადგილებია გათვალისწინებული. ადამიანებისთვის კი შემუშავებულია პროგრამა ვახშმით, ფოიერვერკებითა და მსახიობების გამოსვლებით. საკრუიზო გემის ბორტზე მოსახვედრად მთავარი პირობა აცრილი კატებია. ასევე, არ დაუშვებენ არასტერილიზებულ ცხოველებს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, სინგაპურში, მსგავსი კრუიზები უკვე მოეწყო, მხოლოდ ის ძაღლებზე იყო გათვლილი. კრუიზები საკმაოდ პოპულარული იყო, ამიტომ ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, წარმატებული გამოცდილება გაიმეორონ, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ კატებისთვის.

ცელულოზას მაკარონი გახდომის მსურველთათვის

ამომავალი მზის ქვეყანაში, დიეტური პროდუქტების ბაზარზე სიახლე გამოჩნდა და ეს ლაფშაა, ცელულოზასგან. ის არ შეიცავს ცხიმებსა და გლუტენს და როგორც დიეტოლოგები ამტკიცებენ, საუკეთესოა არა მხოლოდ გახდომის მსურველთათვის. მის შემადგენლობაში პრაქტიკულად არ არსებობს ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებები. ახალი პროდუქტის საფუძველს ხის ქერქი წარმოადგენს, რომელსაც ეგზოტიკურ მცენარეს – Amorphophallus konjac ურევენ. ამ ნარევისგან იღებენ ფქვილს, რომელიც ბოჭკოვან მასას შეიცავს და რომელიც დადებით გავლენას ახდენს საჭმლის მონელებაზე. შემდეგ კი ამ გამდიდრებული ფქვილისგან მზადდება დიეტური საკვები. პროდუქტის ავტორები აღნიშნავენ, რომ 450 გრამი ასეთი ლაფშა 30 კალორიაზე ნაკლებს შეიცავს, ამდენივე ჩვეულებრივი მაკარონი კი – 1 538 კალორიას.

უძილობა ნახშირწყლების ბრალია

ძილის სურვილი შეიძლება გაგიქრეთ, თუკი თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, – განაცხადეს სწავლულებმა, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების რეგულარული მოხმარება, მაგალითად, ნამცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის, სისხლში შაქრის დონის მომატებას იწვევს. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოჰყოფს. შედეგად, შაქრის დონის დაქვეითებამ, შესაძლოა, ჰორმონების გამოტყორცნა გამოიწვიოს, როგორებიც არიან – კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50-ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, ხელმისაწვდომი და ეფექტური მეთოდები მოძებნონ, პაციენტების უძილობისგან განსაკურნავად.

სიმსივნეს ბიუსტჰალტერი გამოავლენს

ნიგერიელმა სწავლულმა კემისოლუ ბოლარინვუმ შეიმუშავა ბიუსტჰალტერი, რომელსაც სარძევე ჯირკვლის კიბოს გამოვლენა შეუძლია. ქალმა Smart Bra-ს შექმნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ამ დაავადებით მისი დეიდა გარდაიცვალა. სიახლის ფართომასშტაბიანი ცდები წელსვე, ნიგერიაში ჩატარდება. მოწყობილობას, რომელიც შესაძლო სიმსივნის აღმოსაჩენად ულტრაბგერას იყენებს, დიაგნოზისთვის სულ 30 წუთი სჭირდება. „გამოგონების მიზანია, ჩვენი მოწყობილობის დახმარებით, 2030 წლამდე, 80%-ით შევამციროთ იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც მკერდის კიბოთი კვდებიან“, – განაცხადა სწავლულმა. მის პროექტს ნიგერიის მთავრობა და ბანკი – Standard Chartered აფინანსებენ.

კარტოფილი კუჭის წყლულს კურნავს

ბრიტანელმა სწავლულებმა, მანჩესტერის უნივერსიტეტიდან, კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელიც კი არ აქვს. გაირკვა, რომ ეს ნივთიერება კლავს ბაქტერიებს, რომლებიც კუჭში ანთებითი პროცესების პროვოცირებას იწვევენ. კვლევების შედეგად, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ეს ნივთიერება ამას გაცილებით ეფექტურად აკეთებს, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები, რადგან, მათგან განსხვავებით, ბაქტერიებს რეზისტენტულობა არ ახასიათებთ. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია Helicobacter Pylori, რომლის სამკურნალოდაც, ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოყენება ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს. ეს კი, თავის მხრივ, იმუნური სისტემის დასუსტებას იწვევს, თანაც ამ დროს, ყოველთვის არსებობს გვერდითი მოვლენების რისკიც. როგორც ჩანს, ბრიტანელი მეცნიერების აღმოჩენა დამაიმედებელია. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია და გამორიცხული არ არის, სულ მალე, გაყიდვაში გამოვიდეს „კარტოფილის წვენი“, როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს თავის დაცვას ბაქტერიული წყლულისა და გულძმარვისგან.

ზეითუნის ზეთი დემენციას ებრძვის

ზეითუნის ზეთის მოხმარებამ დემენციისას, შესაძლოა, სიცოცხლე 28%-ით გაახანგრძლივოს. ასეთ დასკვნებს ამერიკელი სწავლულები აკეთებენ. მათი კვლევა საკმაოდ ხანგრძლივი – 30-წლიანი იყო და მასში 90 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. სასურველი ეფექტის მისაღებად, დღის განმავლობაში, თითქმის ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთის მიღებაა საჭირო. მისი ზემოქმედება კი ზეთში დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტების არსებობით აიხსნება. მას შეუძლია გადალახოს ჰემატოენცეფალური ბარიერი ანუ პირდაპირ თავის ტვინზე მოახდინოს გავლენა.

სინთეტიკურ ალკოჰოლს გამოუშვებენ

ბრიტანული ლაბორატორია GABA Labs, Alcarelle-ის ალკოჰოლის სინთეტიკური ანალოგის შექმნაზე მუშაობს. სასმელი უზრუნველყოფს დამამშვიდებელ ეფექტს ნაბახუსევისა და სხვა გვერდითი მოვლენების გარეშე. Alcarelle უგემური ნივთიერებაა, რომლის დამატებაც შესაძლებელია სხვა სასმელებში – ალკოჰოლურშიც და უალკოჰოლოშიც, რათა დამათრობელი ეფექტი ნეგატიური მოვლენების გარეშე მიიღონ. სინთეტური სასმელის შემქმნელები იმედოვნებენ, რომ პროდუქტი გაყიდვაში 2026 წლისთვის გამოვა. მასზე უკვე დიდი ხანია მუშაობენ, მაგრამ მარეგულირებელი ორგანოებიდან დადებითი პასუხის მიღების პროცესი დროში გაიწელა.

პიკნიკი უფსკრულის პირას

ერთ-ერთი ბრაზილიური ფირმა ექსტრემის მოყვარულებს შესაძლებლობას აძლევს, პიკნიკი მოაწყონ მაგიდასთან, რომელიც კასკატა-და-სეპულტურას ჩანჩქერზეა გადაკიდებული. ეს უნიკალური მომსახურება პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც ამერიკელი წყვილის ვიდეო გავრცელდა. მათ „რაღაც განსაკუთრებულის“ მოსინჯვა სურდათ. ორივე ტურისტი უსაფრთხოების ქამრებით იყვნენ დაბმულნი და ჩანჩქერის თავზე, მაგიდასთან ისხდნენ. ეს უჩვეულო და საშიში პიკნიკი მხოლოდ 15 წუთს გრძელდება და მისი ღირებულება 450 დოლარია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.